ვალერიან ანდღულავი

პაპა ღანეთელი



ჰეროიკული კომედია 4 მოქმედებად, 8 სურათად

Scanned with CamScanner

მოქმედი პირები

ზაია, შემდეგ მათე-ბიჭად წოდებული, 19-20 წლის შესახედაობისა.
გელა, მაიას მამა.
ერეკლე მეორე, 50 წლის შესახედაობისა.
ანდუყაფარი, სოფლის მებატონე, 21 წლისა.
ზალიკა, მოურავი.
მიზი, მისი მხლებელი.

მანუჩა გუგუნა შერვაღინ ჯარიელაკია	სარკინეთელი ტყვეები, შემდეგ მათე ბიჭის რაზმელები.

ჯერიმ ალა, ტყვეებით მოვაჭრე.
ჯეკელ ვერძაძე, ჯერიმ ალას მხლებელი, შემდეგ მათე-ბიჭის რაზმელი.

ქაისარო დიღმელი ავილასვარი გუგაჯი ბარათა	ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმული თაღადები.

სახლთუხუცესი, სპასალარი, ირანის ელჩი, ტყვე ქალები, გოგიბიჭები, მხედრები, ოსმალები.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

მათე-მაიას ჭირიმე,
იყავ ფალავან-გმირი,
უზნეო ბატონებისგ
სიკვდიმდე დიდი ჭირი.
ხალხური

თავად ანდუყაფარის სასახლის ჩუქურთმიან ფართო ივანს ქვის კიბე ეერთ-დება. კიბესთან საქანელია გამართული. იგი ჰაერში დაკიდებულ სავარძელს ჰგავს. კიბეზე ზალიკა და მიზი ჩამომჯდარან. თავგამეტებით მღერიან:

ესო, მესო,
მგელი გაისეესო,
ხრამში ჩაიგდესო,
ძაღლი ჩაუშვესო,
ამოათრიესო,
კარგა გასხლიპესო,
მაღლა შემოდვესო,
ქალაქს წაიღესო,
კარგა ფაყიდესო.

შემოდის გელა.

გელა. კაი სიმღერის დრო შეგირჩევიათ.

ზალიკა. ბატონის ბრძანებაა!.. (მღერიან.)

გელა. კაცო, აქედან უმღერით? რას გაიგონებს?

ზალიკა. მას აქეთ, რაც დიდი ბატონის სული ღმერთმა მიიბარა, ყრმა ბატონმა მამის წესები გამოცვალა. ჯერ სადა ხარ, ბევრ ახალ წესს გამოგიცხადებენ!..

გელა. სიმღერა რაღა წესს ემსახურება?

ზალიკა. მოურავს უფლება არა მაქვს ყრმა ბატონის უნებართ-ოდ დარბაზში ფეხი შევდგა — იმღერეო, თუ საჭირო ხარ დაგიძახე-ბო, თუ არა და შეაყოლეო. ჩემს მოსვლას ჩემი სიმღერა ატყობი-ნებს.

Scanned with CamScanner

გელა. ე, რა საქანელა გაგიმართავთ?

ზალიკა (საქანელაზე თოკი კარგად გამოსკვნა). საქანელა კი არა, სალღვებელია.

გელა. სასახლის წინ რა უნდა გალღვიბოთ?

მიხო. ურმა ბატონი.

გელა. ბატონიო?!

ზალიკა. მას აქეთ, რაც დიდი ბატონი მიწას მივაბარეთ, ურმა ბატონმა ჭამას უმატა. ძლიან რომ გაიტენება, კუჭი სტკივა. უნდა გალღვიბოთ.

გელა. განსვენებული ბატონი მგონი სალოცავად გაგვიხდეს.

ზალიკა. გაგდებას მემუქრება. განსვენებულის სიცოცხლეში. ისეთი თვალით მიყურებდიო, რომ ერთხელაც არ გიფიქრია, ის მოკვდებოდა და შენი პატრონი მე ვიქნებოდიო.

მიხო. ძალივით სამსახურმა აგრე იცის.

ზალიკა. მაშ რა მექნა, პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავს გავძრობინებდი?

გელა. ამ გახურებული მკის დროს კაცი კაცს მოაცდენს? რატომ მეძახის ურმა ბატონი. რა მინდაო!

მიხო. შენს ოჯახზე აღრენილია.

გელა. რა ოჯახი მე მაქვს, რომ იღრინება.

ზალიკა. მაია აბრაზებს.

გელა. ჩემი მაია? რაც რომ დიდი ბატონი მიწას მივაბარეთ, მას აქეთ მაიას ბატონის სახლში ფეხი არ დაუდგამს, საიდან გააბრაზებდა?

ზალიკა. ჰოდა, ეგ არის, სამსახურზე უარს ამბობსო.

მიხო. იმღერე.

გელა. რა მემღერება!..

მიხო. მაშ როგორ გაიგოს, რომ აქა ვართ.

ზალიკა. იმღერე!

გელა. ნუ ხუმრობ, მოურავო.

ზალიკა. კაი ხუმრობაა, დანა რომ დამარტყა სისხლი არ გამმშივა. იმღერე-მეთქი. (მღერიან.)

ბრალია, შავო ყორანო,
შენ ჩემი ლეშით ძღებოდე,
წახვიდე ჭალას, იბანო,
მაღლა მუხებზე ჯდებოდე;
აწიოკებდე მთა მაღალს,
დაბლა ბარს ემუქრებოდე,
მემრე მენახოს, ფრთაშავო,
თოფის ნიშანზე დგებოდე.

შემოდის ანდუყაფარი.

ანდუყაფარი (ცამა შეწყვიტა). რაო, როგორაო, „თოფის ნიშანზე დგებოდეო“?! ვინ დგებოდეს თოფის ნიშანზე?

ზალიკა. ყორანი, შენი ჭირიმე.

ანდუყაფარი. რომელი ყორანი?

ზალიკა. ფრთაშავი, შენი ჭირიმე.

ანდუყაფარი. ვინ არის ფრთაშავი?

ზალიკა. ყორანი, შენი ჭირიმე.

ანდუყაფარი. აბა, კიდევ თქვით. (მიხომ სიტყვით დაიწყო.) აგრე არა, სიმღერით.

ზალიკა და მიხო (მღერიან).

მემრე მენახოს, ფრთაშავო,
თოფის ნიშანზე დგებოდე...

ანდუყაფარი. განა ვერ მივხვდი, ვინ არის სათოფე ყორანი? მე!.. კი, მე ვარ!

მიხო. ნუ იკადრებო, თქვენი მუხლების ჭირიმე.

ანდუყაფარი. მაშ, ვინ არის ფრთაშავი, ვისზე ფიქრობთ, „ყორანს“ რომ მღერით? თქვენ გეუბნევით, თქვე ტურტლიანებო!

ზალიკა. რას ბრძანებთ, ბატონიშვილო! ამ სიმღერით მივდიოდით პატარა კახის ლაშქარში, მტერზე გამარჯვებულს მაღაროში ბუკითა და ნალარით რომ შემოგვეგებნენ. პატარა კახი, იმის მარჯვენას კი ვენაცვალე, მაშინ შენი ხნის არც იქნებოდა.

ანდუყაფარი თითქოს დამშვიდდა, საქანელაში ჩაჯდა.

ანდუყაფარი. გამაქანეთ! (მიხო და ზალიკა დაარწევენ.) დამაყენეთ! (შეანერეს.) როცა ბატონი ჭამს, სალაშქრო სიმღერა ღარ გაბედოთ! გამაქანეთ!

მიხო. აგრე გექონდა ნაბრძანები, იმღერეთო.

ანდუყაფარი. შე ბრიყვო, შენა... თოფი და ყორანი არ ახსენოთ. „არალო“ იმღერეთ...

ზალიკა და მიხო (არწევენ, თან მღერიან).

გალმიდან ბუი იძახის,
გამოღმიდან შავარდენი,
შუაზე ხოხობი ჩივის:
იმათ ხელში ჩავვარდები.

სხვა კილოზე:

თხას უთხრეს, მგელი მომკვდარა,
თხამ გაიცინა, გადიქცა,
ერთი მომკვდარა ბერ-მგელი,
თხაო, შენ რას ბიხარიან?
განა სამგლეთი დაიქცა?

ანდუყაფარი. დამაყენეთ!.. „თხა და მგელი“ არ ახსენოთ, „გოგო-ბიჭი“ იმღერეთ!.. გამაქანეთ!

ზალიკა და მიხო (არწევენ, მღერიან).

ქალო, გაშლილ ვარდს გამსგავსე,
ედემში ფსხმოიარესა,
ნეტავი შენსა პატრონსა,
შენს გვერდით მწოლიარესა...

ანდუყაფარი. ო, კარგია...

ზალიკა და მიხო (მღერიან).

მაღლიდანა გადმოგხედე,
დაგინახე ქორივითა,
ძუძუ-მკერდი დაგინახე,
თეთრი ჭონდა ბროლივითა.

ანდუყაფარი (ხითხითებს). ჰო, „თეორი ჭონდა ბროლივითა“... ჯიგარს ხვდება. აგრე არა ჯობს? ყორანი რად უნდა ძღებოდეს, როცა ლმერთის ბრძანებით ბატონი ძღება. (თითქოს გაბრაზდა.)

მიხო. გვაპატიეთ, ბატონიშვილო.

ანდუყაფარი. ბატონიშვილი ვიყავი, როცა მამაჩემის შიშით სულისთქმა გიჭირდათ. ახლა ბატონი მე ვარ. გამაქანეთ!

მიხო. იცოცხლე, ბატონო!

ანდუყაფარი (გელას). შენ რას დამუნჯებულხარ? იქნებ არ მოგწონს, რომ ჩემს ხელთა ხართ?

გელა. რას ბრძანებო, ბატონო? ისე მოგემსახურებით, როგორც დიდ ბატონს.

ანდუყაფარი. სტყუი!

გელა. ნუ იკადრებო, ბატონო.

ანდუყაფარი. განა არ ვიცი! გუშინ მამაჩემის ორმოცი მქონდა, პარაკლისი გადავუხადე...

გელა. იდიდოს იმისი სახელი.

ანდუყაფარი. მკვდარს დიდება არ ესმის. დიდება ცოცხლებს!..

გელა. დიდება ცოცხლებს!

ანდუყაფარი. სტყუი! ხუცესი მკვდრებს ადიდებს, თქვენ იმის უფრო გჯერათ... დამაყენეთ. (ზალიკას.) სად არის ამის ქალიშვილი?

ზალიკა. სახლში არ დაგვხვდა, ბატონო.

ანდუყაფარი. თავხედი შინაყმა... მამაჩემის გვამი რომ მიწას მივაბარეთ, იმ დღიდან ჩემს სასახლეს არ გაჰკარებია. (გელას.) შენ

ლეკებს მიგყიდი, შენ ქალს სტამბოლს გავყიდი, წუწკ ოსმალოს უყვარს ლამაზი ქალი.

გელა. უბედურია ქალის ბამა.

ანდუყაფარი. ბატონთან სამსახური უბედურებაა! მოურაკო, ათი მათრახი მაგას, შენ გეუბნები.

ზალიკა. ბატონო, ტუტუცი ყმაა, ქალის ხათრით აპატიე.

ანდუყაფარი. დღეს საღამოს თუ მაია ჩემთან არ იქნა, იცოდეთ, სამოცი მათრახი ამასა, (გელაზე მიუთითებს.) ოცდაათი შენ, ზალიკას მიუთითა.) ათი შენ, ბიჭო. სულ ასი მათრახი...

მიხო. ბატონო, მაიას თქვენთან სამსახური არ უნდა, ერთხელ ხელი წაგიტანებია და იმიტომ.

ანდუყაფარი. ა, თურმე! მაშ ჩემს ეზოში მოწეული ნაყოფი ვინ უნდა ჩაკბიჩოს? ყმამ? არა, იქნებ ყმამ? თქვე ტურტლიანებო, თქვენა, გაუმათრახებლად რომ ჭკუას ვერ სწავლობთ. მოურავო, ათი მათრახი მაგასა! (მიხოზე ანიშნა.)

მიხო (შეშფოთებული). ბატონო, სიმართლეს ვიღა გეტყვის, თუ მართლისმთქმელს გაამათრახებ?

ანდუყაფარი. მამაჩემს რად ვერ უბედავდით ამდენ სიმართლეს, რად? მე პატარა გგონივართ?.. მოურავო, დასცხე.

ზალიკა. მიხო, წაწექი.

შორს თოფი მეხივით გავარდა.

ანდუყაფარი (შიშით აივანზე შეხტება). მოიცა... იქ რა ამბავია?

ზალიკა (ადგილს გამოიცვლის). ცხენებს მიაქროლებენ.

შემოდიან გოგო-ბიჭები, გლეხები, ყიყინითა და ყრიამეულით სერზე შედგებიან, შორს იცქირებიან.

ხმა. ქურდი ლეკი!

ზალიკა. დიახ, ბატონო, ტყვეს გამტაცებელი, ქურდი!..

მიხო. ჩვენები მისდევენ.

ზალიკა. არიქა, იქნებ დაეწიოს.

ანდუყაფარი. ლეკს ვინ მისდევს?

ზალიკა. ჩვენი ბიჭებია.

ხმა. თქვენი ჭირიმე, ბიჭებო...

მიხო. ბატონო, ქალი!.. ქალი! დაწინაურდა! ღმერთს გეფიცებით, ჩვენი მაიაა.

ანდუყაფარი (მიხოს). თუ მაიაა, აღარ გაგამათრახებ.

მიხო. ის არის, ის...

ხმები. წამოეწია, არიქა...

მიხო. ბატონო, ხედავთ, თავში თოფი ჰკრა.

Scanned with CamScanner

ხმები. შენი გამჩენის ჭირიმე... ლეკს ქუდი გადააძრო... ქუდი კი არა, მთელი ცხვარია...

ზალიკა. ნეტა ერთი ხმალი მაგ გოგოს მისცა, ქუდს თავიანად წააცლიდა.

ხმები. ლეკი ხევში დაქანდა... ტყეს მიეფარა.

ზალიკა. ამას შეხედეთ, ლეკის ქუდს დასწვდა.

ხმა. ქალი კი არა, ქაჯია, ქაჯი.

გელა (თავისთვის). ვაი, ჩემს თავს, ერთი ქალი მყავს და ისიც ქაჯი!

ხმა. ამან თქვას, ქალი ვარო, შენი ჭირიმე, მაია!

მიხო (ანდუყაფარს მიუბრუნდა). მოფრინავს.

ანდუყაფარი (მიხოს). წყნარად... (შორს იცქირება.) აქ დაუძახეთ, ჩემთან მოუხმეთ!

რომელიღაც ბიჭთაგანი გარბის.

ზალიკა. ბატონო, სულ მამაშენის ხელობაა, რომ ეს ყმაწვილი ქალი ცხენს აგრე აჯირითებს.

ანდუყაფარი. მამაჩემს სეირი უყვარდა.

ზალიკა. სწორედ გცოდნია, თოფის სროლაც რომ ისეთი იცის, გაფრენილ ქორს მოარტყამს... დიდ ბატონს ხშირად ვეტყოდი ხოლმე, შენს ქალსაც ასწავლე აგრერიგად ტაიჭზე ჯდომა-მეთქი. არა ქნა, ჩემი ქალი საფრთხილოა, ყმის ქალი ოუ ცხენიდან გადმოვარდა, თეძოამოვარდნილიც კარგად ივარგებსო, გლეხის ქალის თეძო, მე შენ გეტყვი და სასახლის კარზე სადარბაზოდ გამოდგებაო. ჭკვიანი იყო დიდი ბატონი.

ანდუყაფარი (ჩქამდე რომ შორს იყურებოდა). ხმა ჩაიწყვიტე! რამდენჯერ მითქვამს, რომ მამაჩემის ხსენება გულ-ღვიძლს მიბრუნებს-მეთქი.

ზალიკა. ვაქებთ და ვადიდებთ იმ ცხონებულს.

ანდუყაფარი. თქვენ აგრე იცით — მკვდრებს აქებთ და იმისი ქებით ცოცხალს მაგინებო, დიახ, კარგად ვიცი. იმას აქებთ და ჩემზე გულს იოხებთ.

ზალიკა. კვიცი გვარზე ხტისო, მამაშენისაგან გამიგონია. რაც მამაო, ის შვილიო.

ანდუყაფარი. წმინდა გიორგის ჯვარს ვფიცავ, თუ მამაჩემს კიდევ ახსენებ, საკირეში ჩაგამწყვდევ. ორმოცი დღეა, რაც რომ დავმარხეთ, იქნებ ჯერ არ გაცივებულა, შე ბრიყვო, შენა.

ზალიკა. ისე მტერი გაგიცივდეს. ცოცხალს ხომ მიწაში არ ჩადებ.

ხმები. მაია!.. ვაშა!..

ხმა. გელა, გაიხარე, ქალი შენა გყავს!

გელა. უბედო კაცს უკუღმართ დროში ქალი შეეძინებოდა. მარა იქნებოდა.

ხმები მაია!..

შემოდის მაია, ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში ცხვრის დიდი ქუდი, მის უკან ორი ახალგაზრდა შემოდის.

მაია. მეზობლებო, თქვენი მშვიდობა!

ხმები. შენ გაიხარე, მაია!..

მაია. ქუდმოგლეჯილი გაიქცა მზვერავი ლეკი, (მიწაზე ლეკის ქუდს დაგდებს.)

ზალიკა. ცუდია რომ გაიქცა.

მაია. აბა, რა გვექნა, მოურავო, ერთი ტყვია მქონდა, არ მისწვდა, ლული ჩავარტყი; ხმალი არ მქონდა, თორემ გაჩვენებდი ლეკის თავს... ბავშვების საფრთხობელად შენს სახელს იმისი თავი აჯობებდა. (იცინიან.)

ანდუყაფარი (ახალგაზრდა კაცებს). ბედოვლათებო, ქალმა გაჯობათ და მაინც გაძმარნდით?!

I ახალგაზრდა. ბატონო, მაიამ ფეხი ცხენზე აიდგა.

II ახალგაზრდა. ერთი ციდა ხანჯლებით რას გავხდებოდით.

ზალიკა. გადევნება როგორღა გაბედეთ?

I ახალგაზრდა (მაიაზე ანიშნებს). ამის ბრალია. (იცინიან.)

გელა. რატომ არა გრცხვენია, გოგოვ?

მაია. აბა, რისი უნდა მრცხვენოდეს, მამა?

გელა. გოგო, ცხენი და თოფი რა ქალის საქმეა.

მაია. საქართველოში თოფის ხმარება მკვდარმაც კი უნდა იცოდეს; მტერი ყანაშიც თავს გვესხმის.

გელა (უკმაყოფილოდ). ნეტავი შენ არ გამჩენოდი.

მაია. რათა, მამა?

ანდუყაფარი. წუწკი ლეკის მდევარი ბიჭები კი მყავს, შენ ქალის საქმე აკეთე.

მაია. ყველა ქალი რომ თითო ტყვიას გაისვრიდეს, მტრის სინსილა ჩქარა გაწყდებოდა.

ხმები. შენი სიტყვების ჭირიმე! (ისმის ზარის ხმა.)

ანდუყაფარი (ხალხს). არ გესმით ზარის ხმა? ლოცვის ქამია, წადით, ღმერთს მადლობა გადაუხადეთ, რომ ცოცხლები ხართ. წადით!

ხალხი მიდის. სცენაზე რჩებიან მაია, ანდუყაფარი, ზალიკა, გელა და მიხო.

Scanned with CamScanner

მ ა ი ა (სცენაზე მყოფთ). ხალხს სალოცავად რისთვის გზავნიან? რა მოხდა?

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. მახლობელ სოფლის თავადმა თორმეტი გოგო-ბიჭი გაყიდა. (მეექვსის ტონით.) მყიდველი ბევრია; ოსმალო, სპარსი და ლეკი ოქროს იძლევა. მე არც ერთი არ გამიყიდია, უსარგებლო ხალხით სოფელი ამივსია.

მ ა ი ა. ერეკლეს დროში კაცის გაყიდვა როგორ იქნება?

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. ყმა ბატონისაა, მეფობა ერეკლესი.

მ ა ი ა. რაღა მეფეა, მის სამეფოში თუ ხალხს ყიდიან.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი (მეექვსით). ღმერთს მადლობა შესწირე.

მ ა ი ა. სამეფოს ხომ ყმები იცავენ?

მ ი ხ ო. ამას დამიხედეთ — დედაკაცი მარაქაში არ გაერია?!

მ ა ი ა (მიხოს). თამარი ხომ დედაკაცი იყო, შე მურდალო!

ზ ა ლ ი კ ა. გოგო, შენ ივასთან რა ხელი გაქვს, იდიდოს იმის სახელი.

მ ა ი ა. იმის დროში ყმების გაყიდვა არ იცოდნენ...

მ ი ხ ო (ინტერესით, ბრაზმორეული). შენ საიდან იცი, ჰა?

მ ა ი ა. ასე სწერია „ვეფხისტყაოსანში."

ანდუყაფარი აქამდე სხვაზე ფიქრობდა, ბოლთას სცემდა.

ზ ა ლ ი კ ა. შენ რა იცი, ბალღო! იმისი დრო და ჩვენი დრო განა ერთია?! ჩვენმა ბატონებმა ფულის ყადრი იციან, სწავლაც მეტი აქვთ. ვაჭრობაც ასდით. თამარის დროში კაცის გაყიდვას რას მოიფიქრებდნენ.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი (თავმომწონედ). მამაჩემმა იმდენი ფული კი დამიტოვა, რომ ყმით ვაჭრობა არ დამჭირდება.

ზ ა ლ ი კ ა (მაიაზე მიუთითებს). ამან არ იცის, ბატონო, რომ ფული თუ შემოგელია, შენს ყმებს სულ კიტრის ფასად გაყიდი. ამან არ იცის და იმიტომ არ ეშინია.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. ვიცი რომ არ ეშინია. მამიჩემის შემდეგ ბატონთან სამსახური დაივიწყა.

გ ე ლ ა. ბატონო, შენი მირონის მადლმა, ჯეელი ქალი ყმაწვილ კაცთან ცბა, რა სამსახურს შეძლებს.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. ბრიყვო, ბატონის კარზე ქალის საქმეს რა გაგიგონ (გაანწყლებული.) ცოლი მე არა მყავს, ფილენჯ დედაკაცს ჩემს ლოგინს ხომ არ გავაშლევინებ.

გ ე ლ ა. კიდევ იტყვიან, ქალის გაჩენას ნუ დაიტირებო?

მ ა ი ა. ვაი, რომ ქალი ყარ.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. ბიჭი რომ იყო, რას იზამდი?

მ ა ი ა (ხმამაღლა). ცალი თვალით გატირებდი, ცალით კიდევ გაცინებდი.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. რაო?!

გ ე ლ ა. მიუტევე შენი მუხლების ჭირიმე, სულ მამიშენის ბრალია, იმან გაათამამა ეს ჩემი ქალი.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. მამაჩემმა ყველანი გაგამავხედათ და მაინც ზურგს უკან აგინებთ. კი, მე ყველა მესმოდა... ისეთ საქმეს წაგკიდებთ, თქვე წუწკებო, რომ მამაჩემის სულს გალოცვინებთ — ნეტა ის ცოცხალი გვყოლოდაო. ტყავს გაგხდით და იმ ტყავით მუთაქებს შევაკერინებ. (ზედს.) აქ ამოდი, ეგ თოფი მომეცი.

მ ა ი ა. თოფი მამაჩემისაა.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. ყმას თოფი რად უნდა... თოფები და ხმლები ბევრი მაქვს. აქ ამოდი-მეთქი!

ზ ა ლ ი კ ა (მაიას). არ გაარისხო, ადი, ნუ აყოვნებ.

მაია აივანზე ადის.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. დარბაზი დამისუფთაცე... (გელას.) შენ კი, ბებერო, მოურავს წაეშველე, ე, მაგ ნამგლით ჯერ ბატონის ყანა მომკე. მე კარგად ვიცი წესი და რიგი.

გ ე ლ ა. დიდო ბატონო, შენი მუხლების ჭირიმე, მაიას დილით გამოგიგზავნი, ცხენზე იჯდა და დაღლილია.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. მე სტუმრებს ველი.

გ ე ლ ა. ჩემს დედაკაცს გამოგიგზავნი.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. შენს დედაკაცს რა თავში ვიხლი... (მაიას.) იქ შედი, დარბაზი დააკრიალე.

მ ა ი ა. მამი, ნუ გეშინია, მე მალე მოვალ.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი (მაიას). იქ შედი-მეთქი! (მაია ოთახში შედის.) მოურავო!..

ზ ა ლ ი კ ა. მიბრძანე, შენი ჭირიმე. (ახლოს მიიწევს.)

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი (გიჟაზე ანიშნებს). ე მაგ ბებერზე თვალი გეჭიროს. უკან დაბრუნება თუ მოინდომოს, ბიჭები გაიფრთხილე, შეკაზრით და დილამდე საკირეში ამყოფეთ. თუ გამოგექცა, ვაი შენი ბრალი!

ზ ა ლ ი კ ა. მესმის, ბატონო.

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. თხის ფასად გაგყიდი! (ოთახში შედის.)

ზ ა ლ ი კ ა. მესმის ბატონო... წავიდეთ, გელა.

გ ე ლ ა. მწუხრის ჟამს მაია მხეცს დავუტოვო? სად წავიდე?

ზ ა ლ ი კ ა. რას ამბობ, კაცო, შენი ქალი ბატონის კარზე აიწარდა, რამ დაგაფრთხო.

Scanned with CamScanner

გ ე ლ ა. განსვენებულ ბერძაღლს მრუშობის თავი არა ჰქონდა. ეს ლაწირაკი კი მაშინ პატარა იყო.

მ ი ხ ო. პატარა იყო და ხელი წაატანა.

ზ ა ლ ი კ ა. მერე დიდმა ბატონმა ხომ დატუქსა. უმწიფარ გოგოს ხელს ნუ ახლებო.

მ ი ხ ო. მაშინ უმწიფრობით გადარჩა, განა არ ვიცი... ახლა? ახლაც უმწიფარია? ცხრამეტი-ოცის იქნება.

გ ე ლ ა. ვაი ქალის გაჩენის დღეს!

ზ ა ლ ი კ ა. ახლა რისღა გეშინია, ჩვენი ბატონი თუ დავაჟკაცდა, არც შენი ქალია ნაკლები. ვერ გაიგონე რა უთხრა: „ცალი თვალით გატირებდი, ცალით კიდევ გაცინებდიო“.

, გ ე ლ ა. ქალის კვეხნა აბა, რა მოსატანია, ქალი მაინც ქალია.

მ ი ხ ო. განა არ იცი, რომ ქალის სილამაზე ბატონის კერძია.

გ ე ლ ა. ეშმაკის კერძო, მამა არა ხარ, რომ აგრე ამბობ?

მ ი ხ ო. განა არ ვიცი? ვხუმრობ.

გ ე ლ ა. სინდისზე ხუმრობა ვის ეკადრება?

მ ი ხ ო. თუ მართალს მათქმევინებ, სინდისი და ყმა ორივე ბატონის საკუთრებაა. შენ უკეთ იცი, შენს ძვლებს მეტი უნახავს, განგებას ახე დაუწესებია.

გ ე ლ ა. არა, მე სხვა იმედი არ გამაჩნია... (ერთბაშად აენთება.) გამიშვით!

ზ ა ლ ი კ ა. შეჩერდი!.. (გელას შეგოჭავენ.) თავი ნუ მოგძულებია.

გ ე ლ ა. ამაზე მეტი თავლაფდასხმა რაღა იქნება, მშობელი მაშის თვალსაწიერზე... გამიშვით-მეთქი! (გაძალიანდება.)

ზ ა ლ ი კ ა. გაჩუმდი, ყმის გაყიდვით იმუქრება, მეც შემიწყალე.

მ ი ხ ო. მიდი, ფეხი გადადგი. (ძალად უნდა გაიყვანოს.)

ზ ა ლ ი კ ა. ნუ გაჯიქდი, ხმა აღარ დასძრა.

მ ი ხ ო. იქნებ არც კი შეჰკადროს, უნანებელს სანანებლად რად ეხდი.

გ ე ლ ა. გული სხვას ამბობს, მამის გული!

გ ე ლ ა ძალად გაიყვანეს, გადიან. მცირე პაუზა. ანდუყაფარის სასახლიდან ისმის ხმაური, მინის მტვრევა, ითქოს დაიტეხაო!

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ი. მიშველეთ!.. მოურავო, მიშველეთ!.. (პარმაღზე ესროლდ დაეცემა).

ეეცრად ქარი გაიღება, შემოდის მ ა ი ა, თმაჩამოშლილი, კაბა გახეული, ჭერანგის გულისპირი მოეჩანს. ხელში ხანჯალი შერჩენია.

შ ა ი ა (გაშმაგებული). ვაი, რომ დედაკაცი ვარ!.. (ეშინებული.) ვაიშე, თუ მოკვდა!... (აივანზე დაგდებულ ბატონს, წამით დაჰყურებს. (წარიფ-ად გაძ-

ფორდება.) წყეულიმც იყოს ქალის გაჩენა, პატივის აყრით რომ ემუქრება მუხთალი ბედი!.. წყეულიმც იყოს ქალის აბა, მისი ლეჩაქი!.. კაბა-ლეჩაქით თავს ვერ დაიცავს ყმა ქალი!.. (ხანჯლით ორივე ნაწნავს მოიჭრის, მოჭრილ ნაწნავებს სინანულით დახედავს, უმალ უბეში შეინახავს, სინათლე კლებულობს). ჩემო ქვეყანავ, პურის ყანებო, მინდვრის ყვავილნო, ია და ვარდო ჩემი სოფლისავ. ტკბილო მეზობლებო, თქვენთვის არა დამიშავებია რა, ნუ შემიძულებთ, ნურც შემაჩვენებთ. (სხვა ტონით, მაგრამ მხნედ.) ჩემო მართალო მამავ, პატიოსნებას მიქადაგებდი, პატიოსნება არა კვდებაო, შენ არ მასწავლე?.. თუ მსხვერპლად დავჭირდი, ნუ დაინაღვლებ, არ შეეპუო, პატიოსანი შვილის მამა ხარ... (მაღლა აიხედავს.) მთვარევ, გუნდ-გუნდა ვარსკვლავებო, სხვა ძმობილი მე არა მყავს, გზა გამინათეთ! (სიბნელეში გაუჩინარდება.)

სურათი ეეორე

ეკლესიის ნანგრევები. საფლავის ქვები. ერთგან ცაცხვის ნორჩი ხე გადაზრექილა. ღრუბლიან ცაზე სავსე მთვარე ხანგამოშვებით გამოანათებს. სინათლეზე კარგად მოჩანს ნანგრევები და საფლავის ქვები. ნანგრევებს გაღმა, უფსკრულში სიბნელე ჩაწოლილა. შორს მკრთალად მოჩანს მთები, მათ გადაღმა — ყინულოვანი წვერვალები. მყუდროებას ჭოტის კივილი არღვევს.

ისმის სიმღერა, მომღერალს შიშის გრძნობა შეჰპარვია. გამბედაობის ცდაშია.

ქართლიდან გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგზალად
შიში და ცრემლის ღვარიო...

შემოდის მ ა ი ა ეეე

რა უნდა იყოს? ლანდები?.. აქეთ მოდიან (საც წავიდეს არ იცის.) ჰეი, ლრუბლებო. მთვარეს ცოტა გადაეფარეთ, ჩემს მტრებს დაუმალეთ ჩემი გზა-კვალი. (ეკლესიის ნანგრევებს უკან გაუჩინარდება.)

ისმის გაწამებულ ადამიანთა სიმღერა:
ბაფრინლი შავო მერცხალო,
ჩამყევ არაგვის პირსაო,
რა ომი გაუპირდება
შენი დედ-მამის შვილსაოო!

შემოპყავთ სარკინეველი ტყვე ვაჟები და რამდენიმე ქალი. მათ ოსმალოები მოუძღვებიან, მათ შორის ჯემალ ვერძაძე. ოსმალოებს ყბებჩაცვივნული, გამხდარი ტანის ქერიმ აღა მეთაურობს.

ქერიმ აღა. შაითან გურჯ, ასეთ ღამეში შესვენება ვის გაუგია, დაუჩქარეთ.

მანუჩა. ურჯულო ძაღლო, სწორედ შესვენება და შეფარება გჭირდება; მთვარიანი ღამეა, ქართველებმა თუ მოგაგნეს, ჩვენს თავს წაგართმევენ და თქვენ ალაჰთან გაგაქროლებენ.

ქერიმ აღა. გურჯო, მე კარგად ვიცი გურჯისტანის გზები, ბდული ბეგთან ლაშქარში ვიყავ, აქ ახლო სოფელი არ არის. გურჯები სოფლიდან არ გადიან, ლეკიანობაა... (იცინის.) სულელი გურჯი ლეკს იძახის და ოსმალო ტყვეს შოულობს, ლეკიც სულელი. ძალით ტყვეს წაყვანა იქნება? გურჯის ბატონს ცოტა ფული მიეცი და გინდა მთელი სოფელი მოგყიდოს. ლეკი ყაჩაღია, ოსმალო ფულით ვაჭრობს. ვაჭრობა ალაჰის საქმეა. ქერიმ აღამ რა ქნას? გურჯს ოქრო მისცა, გურჯმა ტყვე მისცა.

მანუჩა. ურჯულოებო, ქალები შეიბრალეთ, შეასვენეთ, ქანცი გაუწყდათ.

ქერიმ აღა. მანუჩა, შენზე ნაწყენი ვარ, შენმა თითებმა ჩემს დარაჯს თვალი მოთხარა. (თვალახვეულ ოსმალოზე ანიშნებს.)

მანუჩა. ყველანი თვალებდასათხრელი ხართ, ვაი, ღედასა...

მანუჩას დარაჯები მისცვივდებიან.

ქერიმ აღა (მანუჩას). შენს საქმეს აფუჭებ, რამდენ მეტს შეიგინებ, იმდენი შორს წახვალ.

შერმადინი. ურჯულოებო, ქალს გული მისდის, ჩქარა წყალი!

ქერიმ აღა. წყალი შეიძლება, დაალევინეთ! (ორმა დარაჯმა და მათ შორის ჯემალმა ქალს ჯამით წყალი მიაწოდა. ჯემალმა თოფი ტყვესთან დადო. ქერიმ აღა ჯემალს.) ტუტუცო, ტყვესთან თოფის დადება იქნება? (ჯემალს

ხმალი შემოჰკრა სიბრტყით.) რამდენჯერ გითხარი, თოფს ხელი არ შეუშვა-მეთქი. (ჯემალის თოფი ტყვეს მოუღრა. ჯემალს.) შევცდი გიაურო, გურჯისტანში რომ წამოგაორიე. (ჯემალს თოფი დაუბრუნა.)

მანუჩა. რა გქვია, გიაურო?

ჯემალი. აჭარელი ვარ, ჯემალა მქვია.

ქერიმ აღა (ჯემალს). იქით გაეთრიე! ტყვესთან ლაპარაკი ჩემი საქმეა... ქარიყლაპია, პირი დაგიღია, გშია?

ქარიყლაპია. იქით გამცილდი, შენი...

გუგუნა. საზიზღარო!..

ქერიმ აღა. რად იგინები, ბიჭო, მეორე ღამეა ერთად ვართ, ველარ შემეჩვიე?

გუგუნა. მარტოხელა დედა სოფელში დამრჩა, სხვა არავინ მყავს. რომ გეხვეწა, ჩემს შვილთან ერთად მეც წამიყვანეო, რად არ შეასრულე?

ქერიმ აღა. ბიჭო, გუგუნა, დედაშენი უკბილო ბებერია. ბებრის ფასი თრევად არა ღირს, შენ არ იცი ვაჭრობის წესი, ბებერი სტამბოლის ბაზარზე არ გადის.

მანუჩა. რას ფიქრობს ის ძაღლი, ქაიხოსრო დიღმელი, ერეკლე მეფემ თუ გაიგო ეს ბოროტება, ყმების გაყიდვა.

ქერიმ აღა. გურჯი ბატონები მეფის ბრძანებებს რომ ასრულებენ, გურჯისტანი სუნიტების სამარე იქნებოდა. ეჰეე, თქვენ ყმაწვილები ხართ, არ იცით... გურჯს არც ღმერთი სწამს და არც მეფე...

მანუჩა. ურჯულო, ძაღლო, ხმა ჩაიწყვიტე, ბოროტი ენით ნუ-ღარ გვწამლავ. თორემ პატარა კახის სახელს ვფიცავ, კბილებით ყელს გამოგღადრავ! (ქერიმ აღასკენ გაექანება, დარაჯები გადაუდგებიან, ზოგი ხმლით და ზოგი თოფით.)

ქერიმ აღა (დარაჯებს). იქით წაიყვანეთ, შუაში ჩასვით... მაგარი ბიჭია, ავაზაა, ავაზა... (მანუჩას.) შენი ფასი სტამბოლის ბაზარზე სამასი ოქროა.

მანუჩა. გველო!

ქერიმ აღა. ქერიმ აღას შეურიგდი, სამას ოქროს ავიღებ. ათ ოქროს გაჩუქებ, ალაჰის მადლით, (ხელებს აღაპყრობს.) დიდება ალაჰს!

დარაჯები. დიდება ალაჰს!..

ქერიმ აღა. ჯემალავ, შენ რატომ არ ყვირი — „დიდება ალაჰს“.

ჯემალი. დაძახება ვერ მოვასწარი.

მანუჩა. ფუი, თქვენს ალაჰს.

ქერიმ აღა (გაბრაზდება). ალაჰის მადლი გაგიწყრება, ქერიმ აღა ცხენის კუდზე გამოგაბამს.

დარაჯი. ვიღაც მოდის... (თოფს მოიმარჯვებს.)

Scanned with CamScanner

ქ ე რ ი მ ა ღ ა. (გასძახებს). ეჰე, რომელი ხარ!

ქ ა ი ხ ო ს რ ო (შემოდის). ქერიმ აღა, ქაიხოსრო ვარ, დიღმელი.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. გურჯო, რა მოგსვლია?! ამ სიშორეზე სად მომაგენი?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. გზები ხომ გაჩვენე. ქერიმ აღა, ფუი, შენს კაცობას.

ტ ყ ვ ე ე ბ ი. ქაიხოსრო!..

მ ა ნ უ ჩ ა. ქაიხოსრო, ქვეყნის სამართალს რა პასუხს აძლევ, რომ ქართველი ქართველებს ჰყიდი.

ტ ყ ვ ე ე ბ ი. ქაიხოსრო!..

ქ ა ი ხ ო ს რ ო (ტყვეებს). ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ აქ ჩაგაძაღლებთ და ამ ნასოფლარში ჩაგმარხავთ ყველას... ქერიმ აღა, შევარცხვინე შენი კაცობა.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. გურჯო, რისთვის მაგინებ. ოქრო მოგეცი, სხვა რა-ღა გინდა?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. რა ოქრო მომეცი, შე მურდალო, ათი ოქრო ნაკ-ლები მოგიცია.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ათი ოქრო ნაკლები, მე?!

ქ ა ი ხ ო ს რ ო. დიახ, შენ... გაიძვერა ხარ, თურქო, მაშინ ოქროს დასათვლელად რომ არ მცალოდა, კარგად იცოდი, ქისა გავხსენი და რაღას ვხედავ, ათი ოქრო ნაკლები მოგიცია... ორი ყმა უფულოდ მიგყავს.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. თითო ტყვეზე თითო ოქრო დაგაკელი. რა ვაჭრო-ბაა, თუ არ დაუკლებ.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ორა-მეთქი, თავიდან გითხარი. ათი ოქრო ჩამოდი, ჩქარა!

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ათი ოქროსთვის მთა გადმოიარე?!

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ჯანიბის კარამდე მიგყვებოდი. უნამუსო კაცი მე-ჯავრება.

მ ა ნ უ ჩ ა (ქაიხოსროს). ფუი, შენც თუ ნამუსზე გეთქმის, ძაღლო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ძაღლს ძაღლური სიკვდილი... (გაისვრის.)

ქ ე რ ი მ ა ღ ა (ქაიხოსროს დამბაჩაზე ხმალი აუკრა, ჰაერში გავარდა). გურჯო, მანუჩა ჩემია!.. აქ გასროლა როგორ იქნება, დამბაჩის ხმა სოფელს მისწვდება.

მ ა ა ა გამოჩნდება და კვლავ მიიმალება.

ქ ა ი ხ ო ს რ ო (ქერიმ აღას). ათი ოქრო ჩამოდი, შე წუწკო, შენა...

ქ ე რ ი მ ა ღ ა. სტამბოლის ბაზრამდე ამათი რჩენა ათი ოქროც არა ღირს?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ფეხებზეც არა მკიდია მაგათი რჩენა! ქერისა და სიმინდის მეტს რას მისცემ ე მაგ ძაღლებს, რომ ათ ოქროს ანგარი-შობ?!

ქ ე რ ი მ ა ღ ა. მჭლე ბიჭებია, ამათი ხორცის შებმას ათი ოქროც არ ეყოფა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ვინ არის მჭლე? (გასძახებს.) მანუჩა!.. სარკინეთე-ლო!..

მ ა ნ უ ჩ ა. რაო, ქაიხოსრო?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ფეხზე დადექი... (ქერიმ აღას.) ეს არის მჭლე? ხელი რომ შეუხსნა, შენ და შენს მხლებლებს ერთად გაგთოკავს... (მანუჩას.) მკლავი აჩვენე ამ თათარს!

მ ა ნ უ ჩ ა. ხელები შემიხსენი, ქაიხოსრო!

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ხელის შეხსნა როგორ იქნება, ოთხმა კაცმა ძლივს შეკრა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ქერიმ აღა, თუ მშვიდობა გინდა, ათი ოქრო-მეთქი.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ათი ოქრო იმაში გამოდი, რომ ამის შებოჭვაზე ჩემმა მხლებელმა თვალი ამოიგდო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ქერიმ აღა, ათი ოქრო ოსმალოს წირპლიანი თვალი? რაებს მიჰქარავ.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. მთელი ცხოვრება ალაჰს ცალი თვალით უცქიროს? გურჯო, რას ამბობ!

ქ ა ი ხ ო ს რ ო (ცალთვალა დარაჯზე ანიშნა). ეს ბინძური ცალი თვა-ლით მაინც უყურებს, (მანუჩაზე მიუთითებ.) ამან რა ქნას? ქრისტიანმა კაცმა მაჰმადის ქვეყანაში ორივე თვალით ალაჰს უცქიროს, ქრისტიანი კაცისათვის ეს სასჯელი ათ ოქროდ არა ღირს?

ქ ე რ ი მ ა ღ ა. შენი ანგარიშით, ათ ოქროს მანუჩას აძლევ?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. მანუჩას რად მივცემ?! მისმა ცოდვილმა ბატონმა ქრისტე-ღმერთს სანთელი უნდა დავუნთო, სულის გაწმენდას ოქრო სჭირდება.

მ ა ნ უ ჩ ა. ქაიხოსრო, სად გაგონილა ქრისტიანების ქვეყანაში ეკლესია ძაღლის სულს წმენდდეს?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. არ გაპატიებ, ყმის ლეკვო!.. (ხმალს იშიშვლებს.)

ქ ე რ ი მ ა ღ ა. შაითან, (დარაჯებს.) შეკარით გიჟი თავადი.

დარაჯებმა ნაბიჯი გადადგეს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო (დარაჯებს). შეჩერდით! მაჰმადის ტილებო, თუ ჩა-ძაღლება არ შოგნატრებიათ!..

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ქაიხოსრო, აჰა, ხუთი ოქრო.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ათი-მეთქი!

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ექვსი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ათი!

ქ ე რ ი მ ა ღ ა. შვიდი.

Scanned with CamScanner

ქაიხოსრო. ათი!

ქერიმ აღა. აჰა, არც შენი სიტყვა, არც ჩემი — ცხრა ოქრო.

ქაიხოსრო. ათი-მეთქი!

ქერიმ აღა (დარაჯებს). შეჰკარით, ეგ ავაზა. (ქაიხოსროს.) შენი ფასი სტამბოლის ბაზარზე ასი ოქროა..

ქაიხოსრო. შე წუწკო, შენა. (ქერიმ აღას ხმლით შეებმება).

ტყვეები ადგილს ინაცვლებენ. დარაჯებმა აღარ იციან — ტყვეებს უდარაჯონ, თუ ქერიმ აღას მიეშველონ.

მაია (ყვირის). ეჰეე!.. ბიჭებო, აქედან შემოუარეთ, ზოგმა იქიდან დაჰკარით!.. (თოფს ისვრის, ქერიმ აღას მუხლში ტყვია მოხვდება, სიმწრისაგან მიწაზე კოტრიალობს.)

ქერიმ აღა. შაითან გურჯ... (ხმალი დაუვარდება.)

მაია გამოჩნდება.

მაია. ერეკლე მეფის ბრძანებით ხელები მაღლა!.. (გაისვრის, რომელიღაც დარაჯი ღმუილით სიბნელეში შთაინთქა.)

დარაჯები აირევიან. ჯემალმა დრო იხელთა, ყამა-დანით მანუჩას ხელები გაუხსნა და ღანა მისცა. მანუჩა თავის მხრივ სხვა ტყვეებს ათავისუფლებს.

დარაჯი (ჯემალის მოქმედებას ოვალი შეასწრო). ჯემალავ, გიაურო! (დარაჯს ჯემალმა დაასწრო, კონდახი ჩაარტყა, დარაჯი უფსკრულში ჩაეშვა ღრიალით).

მაია. ქაიხოსრო დიღმელო, ერეკლე მეფის ბრძანებით ხმალი დაგდე! (ქაიხოსრო შეყოყმანდება.) ხმალი ან გულში ტყვია!

ქაიხოსრო. აჰა, დავაგდე.

მაია (ვითომ ვინმეს ეძახის). ეჰეე!..

მანუჩა. პატარა კახის ყივილზე აქა ვართ!.. (მანუჩამ და სხვა ტყვეყოფილებმა დარაჯები იარაღი აჰყარეს.)

მაია. აბა, ბიჭებო, დაჰკარით მაგათა, ყველამ იარაღი კარგად აისხით.

მანუჩა. იარაღი ასხმულია... (დარაჯებს.) აბა, ალაჰის ბინკებო, აქეთ მოქუჩდით-მეთქი! (ჯემალს.) შენ, გიაურს რომ გეძახიან, აქ მომეშველე.

დალაჩრებულ დარაჯებს თავს მოუყრიან.

ქერიმ აღა. ვაი, მუხლი, მუხლში ტყვია, მუხლში ცეცხლი...

მანუჩა. ცეცხლს გაგინელებ... აბა, ბიჭებო, ეკლესიის უკან, ხრამში გადაუძახეთ.

მაია. შეჩერდით! ვინ მოგცათ ნება?! თათარო, შენი სახელი?

ქერიმ აღა. ქერიმ აღა, ვაზირო.

მაია. ვეზირს მოგცემ, მე შენ... (შერმადინს და ქალებს.) ამ ურჯულოს მუხლი მობანეთ, კარგად შეუხვიეთ.

დავალებას ასრულებენ, ქერიმ აღა გვერდზე გაყავთ.

მანუჩა. მაჰმადის ძაღლს ვუმკურნალოთ?

მაია. მაგ ძაღლმა გათენებიდან საღამომდე ფეხით უნდა ირბინოს... (ქაიხოსროს.) ქაიხოსრო დიღმელო, დიდო თავადო, ათი ოქრო დაგაკლეს? (მანუჩას.) ეს წუწკი მაგრად გათოკეთ. მის ცხენს გამოაბით.

ტყვედყოფილები დავალების შესრულებას მოინდომებენ.

ქაიხოსრო. ხელი არ მახლოთ, მე ბატონი ვარ!

მაია. შენ ის ბატონი ხარ, საქართველოს რომ ოქროზე ჰყიდი... შენ ამ თათარზე საზიზღარი ხარ, ის მყიდველია, შენ გამყიდველი!

ქაიხოსრო. სად არის ერეკლეს რაზმი, თუ შეპყრობაა, მისი დასტური მაჩვენეთ!

მაია. ერეკლეს რაზმი? აჰა, ერეკლეს რაზმი. (ტყვედყოფილებზე ანიშნა.)

ქაიხოსრო. დასტური-მეთქი!

მაია. დასტური? საქართველოს სასიკეთოდ ჩემი დასტურიც საკმარისია!

ქაიხოსრო. ქერიმ აღა, მოგვატყუეს!

მაია. ქვეყნის მტერთან კვლავ კავშირს ეძებ? ძაღლის კუდს სამარე გაასწორებს. (მანუჩას და სხვებს.) ბიჭებო, თოფები დასცხეთ ამ ვერაგს, წამოაქციეთ და მანამ ბეგვეთ, ვიდრე ყიშმირივით დარბილდებოდეს.

განკარგულებას ასრულებენ.

ქაიხოსრო (მიწაზე დაგორებული). ჰოი, ქრისტე ღმერთო, ერეკლეს დროში დიდებულ თავადს ყმები ურტყამენ.

მაია. ღმერთს პატიება სთხოვე, გველაძუა ქაიხოსრო!

ქაიხოსრო (ტყვედყოფილებს). მეყოფა, როგორც მეტყვით, ისე შოვიქცევი.

მაია. თუ დარბილდა, აკმარეთ. (ცემა შეწყვიტეს. ქაიხოსრო.) ეგ ჩექმა გაიხადე, ჩქარა... აქ მომე... (ქერიყლაპიამ ქაიხოსროს ჩექმა გახადა. მაიას წინ დაუყარა.) შენსას ჩავიცვამ, შენსას კი არა, გლეხის ოფლით მონაგარს. (ფეხსაცმელს იცვამს.) დიდი ფეხი გქონია, მაგრამ მათბობს.

ქაიხოსრო. მე რა ჩავიცვა?

მაია. ის, რაც შენს ყმებს აცვიათ. (მანუჩას.) ქაიხოსრო ცხენს გამოაბით.

Scanned with CamScanner

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ცხენსო?!

მ ა ი ა (მანუჩას). თავადს ქუდი მოხადე, შენ დაიხურე...შენი ქუდი თავადს დააჩურე... (მანუჩამ ქუდები გაცვალა.) ასე, ბიჭებო, გასწორდა ყმა და ბატონი. (იცინის. ტყვედყოფილებიც იცინიან.) ქაიხოსრო, გზაში ურჩობა თუ შეგამჩნიე, ქალის კაბა მაქვს წამოღებული, იმას ჩაგაცმევ, ჯვარზე გაგაკრავ.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ვაი, მუხლი...

მ ა ი ა (მანუჩას). ქერიმ აღა შენს ცხენს გამოაბი.

მ ა ნ უ ჩ ა. ცხენი სად მყავს, ძმაო.

მ ა ი ა (თავისთვის). ძმაო... ქერიმ აღას ცხენი შენია, შენი სახელი?

მ ა ნ უ ჩ ა. მანუჩა მქვია, სარკინეთელი გახლავარ.

მ ა ი ა. ძლიერ კარგი, მომწონს შენი სახელი, სარკინეთელო. ჩემს ბრძანებას შეასრულებ ისე, როგორც დავით სოსლანი თამარ დედოფლის... (მიხვდა, რომ ცუდად თქვა.)

მ ა ნ უ ჩ ა. რატომ დედოფლის, თქვენ ჩემი მეფე ხართ.

მ ა ი ა. დიახ, რა შუაშია დედოფალი. (ტყვედყოფილ ქალებს.) დედაკაცებო, ცხენზე ჯდომა თუ შეგიძლიათ?

ქ ა ლ ე ბ ი. შევძლებო, ძმაო.

მ ა ი ა. ჰმ, ძმაო... შეჯექით, აბა, ცხენებზე... ურჯულოებს გზაში ურჩობა თუ შეამჩნიოთ, არ დაზოგოთ.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ჩემი ყმის ქუდს მე არ დავიხურავ. (ქუდს გადააგდებს.)

მ ა ი ა. მანუჩა, ქერიმ აღას ქუდი შენს ბატონს დაახურე.

ქ ა ი ხ ო ს რ ო (შეშფოთებული). თათრის ქუდი?!

მ ა ი ა. დაიხურე, ყეენს ჰგავხარ, შენ ხომ ყეენის ძაღლი ხარ, ოქროზე მსახური ძაღლი.

მანუჩამ ქერიმ აღას ქუდი ქაიხოსროს დაახურა.

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ვაზირო, მაჰმადიანი კაცი შიშველი თავით — სიკვდილია...

მ ა ი ა. ალაჰი გადმოხედავს მისი შვილის უნამუსო თავს, იქნებ გიშველოს... (მანუჩას.) სარკინეთელო, წავიდეთ!.. ქაიხოსრო, თუ გაჯიქება შეგამჩნიე, ქალის კაბა და ჯვარცმა არ აგცდება, კარგად დაიხსომე... ბიჭებო! ამ მთებს და ველებს სიმღერა შვენის, ტყვედყოფნისას რომ აკვნესებდით, ის იმღერეთ, ისე ლაღად, ვით ლაღია ჩვენი ქვეყანა.

მ ა ნ უ ჩ ა. სად მივდივართ?

მ ა ი ა. ერეკლე მეფესთან!..

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი (ღმაფრენით). ერეკლე მეფესთან!.. (ოსმალოები და ქ ა ი ხ ო ს რ ო გაყავთ.)

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

შავთვალა, ტანით ბრგე გოგომ
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,
თოფ-იარაღი აიხსა,
იქცევა მამაცურადა.
პატარა კახსა ეახლა,
რა კარგი სანახავია,
ხირიში შეატრიალა,
დაბლა დაუკრა თავია.

ხ ა ლ ხ უ რ ი

ერეკლე მეფის სასახლე თბილისში. საღამოა, ქალაქს ჩირაღდნები ანათებს. მაღალი კიბით ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ჩამოდის, მას უკან ბ ა რ ა თ ა მოსდევს.

ბ ა რ ა თ ა (შეშფოთებული). რუსთა მეფესთან ელჩებს გზავნის... ამილახვარო, რუსეთის ძლიერებას ვერ ჩასწვდომიხარ. თეთრი მეფე იმას მიაღწევს, რაც ერეკლეს სინამდვილედ ვერ უქცევია. სამთავროებს გააუქმებს. საერისთავოებს მოსპობს, საქართველოს ერთმმართველი ხელი წარმართავს, ბატონყმობას რუსის ხელით მოსპობს ერეკლე... (მდუმარე ამილახვარს წინ დაუდგება.) თავადობის უბედურების ნათლად მხედველმა რად არ ურჩიე მეფის თათბირს, რომ რუსთა მეფესთან კავშირი ნაადრევია. რად დაეთანხმე?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ბარათავ, მეფის თათბირს ღიმილით თავს ვუქნევდი, რომ ჩემი მღელვარება დამეფარა, ღრმად ჩამემარხა. მას თათბირი უყვარს, მოსმენაც იცის, წაქეზებაც სჩვევია ხშირად, რო შეუცდომლად მოიქნიოს ბასრი მახვილი.

ბ ა რ ა თ ა. მღელვარებას რა დააოკებს?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მეფის სიკვდილი.

ბ ა რ ა თ ა (მღელვარეს გაუნელდა). მეფის?!

Scanned with CamScanner

ამილახვარი. თავადო, სიკვდილის გაგონებამ ხომ არ შეგაკრთო?

ბარათა. არა, შიშს ვინ იტყოდა, ძალა რომ გვქონდეს.

ამილახვარი. დიდი ძალა თავად სიდიდით საშიშარია. ბევრი ასეთი ძალა და შეთქმულება ერეკლემ მოსპო, გააცამტვერა. აქ სამი კაცი საკმარისია.

ბარათა. სამი კაცი?!

ამილახვარი. დიდსა და უძლეველ სპილოს სასიკვდილო ჭრილობას თაგვი აყენებს.

სასახლის კიბეზე გუბაზი გამოჩნდება, დაბლა ჩამოდის.

გუბაზი. თავადიშვილნო, რად მიატოვეთ მეფის დარბაზი?

ამილახვარი. მეფე რას ამბობს?

გუბაზი. მუდმივი ჯარის გაძლიერებას ქადაგებს, ვეღარ გავუძელ... თუ მეფობა ითავა, ჯარიც თვითონ გააძლიეროს. მან იმეფოს და მე ყმები ვაძლიო? არა! სადაური ანგარიშია.

ამილახვარი. ჩუმად, ბახუსი შენთვის საწამლავია.

გუბაზი. ბახუსი არა, ამილახვარო, მე კახის მეფობა მწამლავს.

ამილახვარი (შეშინებული). ყველას დაგვღუპავ.

გუბაზი. ამ ჩემს ფეხებს... (უსასოდ მიეგდება.)

ამილახვარი. თავადიშვილო...

გუბაზი (ენერგიულად). მეფე ერეკლე! მთელი ხალხი ამას იძახის, ვითომ სხვა მეფე საქართველოში არ ყოფილიყოს!

ამილახვარი. რა გაღრიალებს, თავადიშვილო!

გუბაზი. რუსის ხელში რომ ჩაგვყრის, პირველი შენ იღრიალებ, მაგრამ გვიანღა იქნება.

ამილახვარი. ვერ მოესწრება!

გუბაზი. ჩვენს ყმებს მუდმივ ლაშქარში ერეკება. ვისი იმედი გაქვთ? ირანის დაკოდილი ლომი დიდ რუსეთს რაღას შეჰბედავს... (იყვირებს.) კი, მოესწრება!

ამილახვარი. ჩუმად, არ გეკადრება!

გუბაზი. სომხის ვაჭრებსაც რომ იბარებს, მათთან ჩურჩულებს!

ბარათა. ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენო, ამ საფუძვლით ეაჭარს მეგობრობს.

გუბაზი. და მე, წარჩინებულ თავადიშვილს, სიძობაზე უარი შითხრა.

ამილახვარი. უგვარო ხალხით აავსო სასახლის კარი.

ბარათა. ხალხი გლეხობაო.

გუბაზი (გაბრაზებულად). თავადიშვილნი ვირები ხართო.

ამილახვარი. მეტისმეტია. ასე არ უთქვამს.

გუბაზი. თუ დასჭირდება, ამასაც იტყვის.

ამილახვარი. გუბაზ, ზედმეტად ლაყბობ...

გუბაზი. საქმე მიბრძანე, მე ჩემი ხმლით არ დავაყოვნებ.

ამილახვარი. შენს ხმალს ჩემი განზრახვა სჯობს.

გუბაზი. თქვი!

ამილახვარი (განსაკუთრებული სიფრთხილით). არაქსის გაღმა ყიზილბაშთ სარდალი ჩემს უსტარს ელოდება. ყიზილბაშმა უნდა იცოდეს, ერეკლე რუსთა ხელმწიფესთან სამეგობროდ ელჩებს რომ გზავნის... ელჩების წასვლა რუსთა მხედრობის საქართველოში დასახლებას ისახავს მიზნად. ჩრდილოეთიდან ჭიშკრის მორღვევას ირანის მთვლემარე ლომი უსისხლოდ არ დათმობს, თბილისს დალაშქრავს. მისი მახვილი ელჩებს მისწვდება, ვიდრე ისინი რუსეთის ტრამალებს გადალახავენ.

გუბაზი (ენერგიულად). ასეთი უსტარი ერეკლეს ხმალზე ბასრია. მზადა ვარ, თუნდაც ღღესვე მიბრძანე.

ამილახვარი. შენ ვერ წახვალ, ოდნავი ეჭვიც დამღუპველია.

გუბაზი. მაშ ვინ?

ამილახვარი. სანდო კაცს იპოვი, რომლის გზა-კვალს არავინ ზომავს.

გუბაზი. სანდო კაცის პოვნა ძნელი საქმეა.

ამილახვარი. ნდობა არ კმარა, ვაჟკაცობაც თან უნდა ახლდეს. უსტარის მიმტანმა სიკვდილი და სიცოცხლე ერთ თოფრაში უნდა შეხვიოს.

გუბაზი. ერეკლეს ვანანებ, რომ სიძობაზე უარი მითხრა.

ამილახვარი. სიძობაზე თუ თანხმობა მოგცა?

გუბაზი. პირადი შური მახალისებს, განა ვერ ხვდები, ამილახვარო? (ხელს გაიშვერს.) შეხედეთ, დატკბით, მეფის გამარჯვებას ხალხი ზეიმობს. შურისძიების ცეცხლს ეს უფრო მიღვივებს.

ბარათა. გუშინ ბრძოლის ველიდან დაბრუნდა გამარჯვებული, ღღეს თათბირი აქვს.

ამილახვარი. ძვალს არ ასვენებს.

გუბაზი (შორს იცქირება). სულ ხელოსნების ბრალია ეს ჩირაღდნები.

ამილახვარი. ხელოსნებმა იციან რა მოუხდება მათ მეფეს. მაგრამ ერეკლემ ის კი არ იცის... თავს რომ მოსჭრიან, იგივე ხალხი სხვა მეფეს ლოცვა-კურთხევით შეეგებება. ხალხი სასეიროდ მოცლილი ბრბოა.

Scanned with CamScanner

ბ ა რ ა თ ა. თავადიშვილნო, იქით გახედეთ, ის რაღა მოდის, ყეენობაა?!

გ უ ბ ა ზ ი. ყეენი ჯვარზე, გაუკრავთ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ყიზილბაშური ქუდები მთელ გუნდსა ხურავს. როგორ, მთელი ქალაქი გაყეენდა, თუ რა ამბავია?

გ უ ბ ა ზ ი. უარესს მოესწრებით...

ბ ა რ ა თ ა. თავადიშვილნო, აქ სხვა ამბავია, ოსმალოები! მცველები ახლავთ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (ვაფაციცებით თვალს ადევნებს). რა უნდა იყოს... მეფესთან მოდიან.

ისმის მგზავრული მსუბუქ ჰანგზე, მაიას ხმა გამოირჩევა, მღერიან:

სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა;
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელზე ვინადირებ თევზსა;
ყინულზე კალოს გავლეწავ,
მორევში ვინახავ ქერსა,
ჰინქველას გოდორს ავკიდებ,
კამეჩებს დავუყრი ბზესა...

გ უ ბ ა ზ ი. ხედავთ, პირტიტველა ბიჭი მოუძღვება, თავადურად ყელი მოუღერია.

ბ ა რ ა თ ა (შორს იცქირება). კარგი ცხენია.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ჰეი, დარაჯნო!.. სასახლის კარი მაგრად ჩაკეტეთ, საეჭვო ხალხი სასახლეს მოედინება.

რკინის ჩაჩქნიანი ორი დარაჯი გამოდის. მოქმედებენ.

გ უ ბ ა ზ ი. აბა, თუ გესმის რა ბრძანებას აძლევ, საეჭვო და ოხერი ჩვენთვის ყველა სასიკეთოა. ამილახვარო, მშიშარა ხარ!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. არ გეკადრებათ ეგ სითამამე.

გ უ ბ ა ზ ი. მეფის სამტროდ შეთქმულს მოკრძალება არ მევალება.

სიმღერის ხმა ძლიერდება.

მ ა ი ა ს ხ მ ა. ეჰეე!.. სასახლის კარი გააღეთ, მოგვყავს მამალი ხოხობი...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ჰოი, ამას რას ვხედავ, თვალი მატყუებს თუ ნამდვილია, თავადიშვილი ჯვარზე გაუკრავთ, გუბაზ!.. ბარათა!.. მეორედ მოსვლის ჟამია.

ბ ა რ ა თ ა. თვალი გატყუებს.

შემოდის ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ყველა წმინდანს ვფიცავ, ქაიხოსროა!..

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. რა ამბავია, სასახლის კარზე ვინ ხმაურობს, ვინ არღვევს წესრიგს?

:მაიას ამალის ხმა ძლიერდება.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. სახლთუხუცესო, მეორედ მოსვლის ჟამია სწორედ. თავადიშვილი გაუთოკიათ.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (გახედავს). ურჯულოც გათოკილია. (ვასძახებს.) ჰეი, დარაჯნო, ფართოდ გააღეთ სასახლის კარი!

შემოდის მ ა ი ა.

მ ა ი ა (მხიარულ გუნებაზე). ეჰეე, მოგვყავს მამალი ხოხობი!..

თოკს ეჭაჩება, ზედ ქ ა ი ხ ო ს რ ო ა გამობმული; ქაიხოსროს გაშლილი მკლავები მსხვილი თოკით სარზე აქვს მიკრული, ქალის კაბა აცვია. მას უკან მოჰყვება ქ ე რ ი მ ა ღ ა, კოჭლობს, მის უკან მოდიან გათოკილი ო ს მ ა ლ ო ე ბ ი და ბოლოს ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ვაი, შერცხვენავ... დედაკაცის კაბაში... (დაბძელი მხეცივით იღრინება.)

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ქაიხოსრო თავადო, ამას რას მოვესწარ, ამ ყაჩაღებში როგორ გაები?!

მ ა ი ა (ამილახვარს). თავადო, სასახლის კარზე ყაჩაღები რამდენი იცი?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ხმა, შე თავხედო ბიჭო...

მ ა ი ა. ჰმ, ბიჭოო.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მაშ, თავადი არ იქნება ამის ჩამდენი.

მ ა ი ა. ცხადია, არა... გთხოვთ, ერეკლე მეფეს წარუდგინოთ ჩემი დასტა — ჩემი რაზმი.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მეფეს თქვენთვის არ სცალიან.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. ამილახვარო, სახლთუხუცესმა გაარიგოს...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (გაშმაგებული). სახლთუხუცესო, თავადიშვილი ქალის კაბაშია!..

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მომიტევეთ (მაიას.) ჭაბუკო, მეფესთან თქვენ რა გესაქმებათ?

მ ა ი ა. აი, ამ თავადს (ქაიხოსროზე აჩვენებს.) განაჩენი გამოუტანოს.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მეფეს არა სცალია, გუშინ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან, ჩვენ განვსჯით მტყუანს და მართალს.

მ ა ი ა. მართალი და მტყუანი განსჯილი გახლავთ, მეფური სიტყვა ერეკლესია.

გ უ ბ ა ზ ი (ამილახვარს). ისე ამბობს, ვითომ ერეკლე ამის ძმაკაცი იყოს.

მ ა ი ა. სხვა ძმაკაცი აბა, საღ გვყავს? (თავის რაზმს.) დიდება მეფეს!

Scanned with CamScanner

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. მეფეს დიდება!..

მ ა ი ა (გათოკილ ოსმალოებს). თქვენც დაიყვირეთ, იქნებ სული შეგინარჩუნოთ — დიდება მეფეს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი. დიდება მეფეს...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (მოთმინებადაკარგული). რა გაღრიალებთ!

ქ ე რ ი მ ა ღ ა. ალაჰ, ვაი, მუხლი.

მ ა ი ა. კვლავ, კიდევ ერთხელ: ათი ათასი გამარჯვება მეფე ერეკლეს.

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. ათი ათასი გამარჯვება მეფე ერეკლეს!..

გ უ ბ ა ზ ი (ანგარიშმიუცემლად, მაიას მიმართ). რა ლამაზი ბიჭია...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. თავადიშვილი გამოხსენით, სახლთუხუცესო, მთელ თავადობას თავს ლაფი გვესხმის...

მ ა ნ უ ჩ ა (ამილახვარს წინ აღუდგება). ხელი არ ახლოთ, თვით მეფემ ბრძანოს.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ხალხის ბრბო სასახლის კარზე რაებსა ბედავს!

მ ა ი ა. ბრბო?!. რათა ბრბო?! ჩვენ მეფის კანონით შევიპყარით წუწკი ბატონი.

გ უ ბ ა ზ ი. ხალხო, ნუთუ არ გესმით, კანონის ძალით თავადს ქალის კაბა ჩააცვეს, მაცხოვარს ვფიცავ, ე, იმ კანონით ქუდის მაგიერ ქალის ლეჩაქს დაგვახურავენ.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. თავადიშვილნო, სასახლის კარზე წესისამებრ სიდინჯე გმართებთ.

ბ ა რ ა თ ა. რაღა სიდინჯე, სახლთუხუცესო, მეფის კანონით ბრბოს რისხვა ისმის.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. სახლთუხუცესო, ნუღა აყოვნებთ, უბრძანეთ დარაჯს... გამარჯვებულ მეფეს ეს ბინძურები საზეიმო ხალისს წაუხდენენ... ჰეი, დარაჯნო, შეიპყარით ეს ყაჩაღები.

დ ა რ ა ჯ ე ბ ი გამოჩნდებიან.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (მკაცრად ყვირის). ამილახვარო, როგორ ბედავთ, ამ ბრძანებისთვის მეფის რისხვა თავს დაგატყდება.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მე მეფეს ვიცავ, მისი ღირსება მიკარნახებს.

მ ა ი ა (ამილახვარს და მისთანებს). თუ მეფეს იცავთ და ერეკლე ნამდვილად გიყვართ, მის მზეს გაფიცებთ, დაიძახეთ — დიდება მეფეს!..

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. დიდება მეფეს!..

მ ა ი ა (ამილახვარს). მეფე გვიყვარსო და მის სადიდებელს კი არ იძახით. მის ღირსებას სპეტაკი გულით თუ მართლა იცავთ, ჩვენი ქვეყნის ამ გაწამებულ შვილებს შეგვაწიე თქვენი ძახილი... (მკაცრად, მთელი ხმით.) დაიძახეთ: — დიდება მეფეს!..

ყ ვ ე ლ ა ნ ი (მათ შორის შეთქმული თავადები, რომლებმაც ერეკლეს თვალი შეასწრეს). დიდებაᲐ მეფეს!.. დიდება მეფეს!..

სასახლის ზედა კარიდან გამოდის ე რ ე კ ლ ე ს ᲐᲞᲐᲡᲐᲚᲐᲠᲘᲗᲐ და ს ხ ვ ა ᲞᲘᲠᲗᲐ. თანხლებით. ერეკლე კიბეზე ჩამოინაცვლებს:

ე რ ე კ ლ ე. რა ამბავია, რად შეყრილხართ, ჩემო შვილებო?

მ ა ი ა. ერეკლე მეფეს უმდაბლესი ჩვენი სალამი.

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. დიდება მეფეს!..

ე რ ე კ ლ ე. ოსმალოები, ეგ ჯვარცმული ქართველი კაცი, იარაღასხმული თვალტანადი კარგი ბიჭები, რას მაუწყებთ? სახლთუხუცესო, დაიწყე.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. ჩვენო მეფევ, დიდებულო, ჯერ ვერაფერი გამირკვევია, ეს წამია სასახლეში რომ შემოვიდნენ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მომიტევეთ, დიდო მეფევ, ჩვენო პატრონო! ამ ყაჩაღების ბრბომ თავადიშვილი ქაიხოსრო დიღმელი გათოკა, დედაკაცის კაბით მთელი ქვეყანა შემოატარა.

ე რ ე კ ლ ე. კარგად არ მესმის, რისთვის? ვინ ითავა, ან ეს ოსმალოები ვინ მორეკა?

მ ა ი ა (თავდახრილი, მოწიწებით წარდგება მეფის წინაშე). დიდო მეფეო, მე მოვრეკე ურჯულოები; თავადიც ჩემი ტყვე არის და სასჯელად ქალის კაბა მევე ჩავაცვი. მოვექეცი ისე, როგორც საქართველოს მეფე, პატარა კახი მოექცეოდა თავის ხალხის მტერს. თქვენი სახელით ჩავიდინე ეს სითამამე.

ე რ ე კ ლ ე. რად მოექეცი აგრე სასტიკად?

მ ა ი ა. ამ ვერაგმა, ქაიხოსრო დიღმელმა, ერეკლე მეფის კანონდასტური ურჯულო ვაჭრის სასაცილო გახადა. თქვენი სამეფოს შვილებს—საქართველოს ლაშქარს რომ შეადგენს, გროშებზე ყიდდა. მაშინ მოვუსწარ, როცა ტყვით ვაჭართან ოქროს გულისთვის ცეცხლსა აფრქვევდა, ქისას ავსებდა. (მეფისთვის შესამჩნევ ადგილზე ქისა დაღო.) აქედან შორს, ეკლესიის ნანგრევებში, ურჯულოებს, მეფევ, შენი სახელით ხმალ-ხანჯალი დავაყრევინე, მოღალატე თავადი და ოსმალო შენს ფერხთით დავყარე, ტყვედყოფილებიც აქ მოვრეკე... შენს მსჯავრს მოველი.

ე რ ე კ ლ ე. ქაიხოსრო დიღმელო, მართალს ამბობს ეს ბიჭი?

ბიჭის გაგონებაზე მაია ერეკლეს ახედავს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო (თავჩაღუნული, უტიფრად). დიდო მეფეო, მე ჩემი საკუთრება მივყიდე თათარს, მეფისათვის არა წამირთმევია.

ე რ ე კ ლ ე. მეფის დარბაზმა ყმით ვაჭრობა განაჩენით რომ აგიკრძალათ?

Scanned with CamScanner

გ უ ბ ა ზ ი (ამილახვარს). გესმის? მეფე ყმებს გვართმევს!

ქ ა ი ხ ო ს რ ო (დუმილის შემდეგ). გვიან შევიტყე ეგ განაჩენი.

ე რ ე კ ლ ე. ქართველის ლაშქარი ბრძოლის ველზე იმ გასაჭირში რომ სისხლსა ღვრიდა, შენ საქართველოს შვილებსა ყიდდი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ყმა ჩემია.

ე რ ე კ ლ ე. სახლთუხუცესო, ეკლესიამ შეაჩვენოს წუწკი თავადი. ამ განსჯის შემდეგ მუდმივი ლაშქრის ახორში ამუშავებ ერთი თვის ვადით, სალაშქრო ცხენებს დაასუფთავებს, წესისამებრ კარგად მოუვლის.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მესმის მეფევ. (სასახლის დარაჯებს.) თავადიშვილი გამოხსენით.

მ ა ი ა (დარაჯებს გადაუდგება). მომიტევეთ... თვით მეფემ ბრძანოს.

ე რ ე კ ლ ე. მეფე არ ბრძანებს, სამღვდელოებას ასე წარუდგეს ერთი მათგანი, ვინ დააგდო საქართველო უძლურების გზას. გაიყვანეთ!.. (სახლთუხუცესი სასახლის დარაჯებს მიუთითებს, ქ ა ი ხ ო ს რ ო გაჰყავთ.) ტყვე ოსმალოები გაიყვანეთ, თადარიგს მიეც. (ო ს მ ა ლ ო ე ბ ი გაჰყავთ.)

მ ა ი ა. მეფეო დიდებულო, აი, ეს... (ჯემალზე მიუთითა.) ოსმალოს ქუდი რომ ჰხურავს, ურჯულოების შეპყრობაში დამეხმარა ხმლითა და თოფით. ის ქართველია, უკეღმართ დროში გათათრებული.

ჯემალი სხვებს გამოეყო.

ე რ ე კ ლ ე. სადაური ხარ?

ჯ ე მ ა ლ ი (დაიჩოქებს). აჭარელი ვარ, დიდო მეფევ, თურქის მოსვლის ნიშნად ჩემს სოფელს ვაიო ჰქვია. სამი ძმისაგან ორი აწამეს და მესამემ — მამაჩემმა, მიიღო მაჰმადის რჯული. აბა, რა ექნათ, მაჰმადის რჯულს ვინც არ მიიღებს, ფაშა მიწას ართმევს, შორს ერეკება ეგვიპტის მიღმა.

ე რ ე კ ლ ე (სახე მოეღრუბლება). ჰოი, სამხრეთო, წინაპართა ხმლის სისუსტევ... (ჯემალთან მივიდა, წამოაყენებს.) რა გვარისა ხარ?

ჯ ე მ ა ლ ი. ვერძაძე ვარ, ჯემალა მქვია.

ე რ ე კ ლ ე. სახლთუხუცესო, ტყვე ოსმალოები დილეგს ჩაჰყარე. დილეგის კლიტე ამ ქართველს ჩაბარდეს... (ჯემალს მოუბრუნდება.) შენს ქართველობას ბევრჯერ გამოვცდი. (ჯემალი მეფეს მოკრძალებით თავს დაუკრავს.) მეფის დარბაზის განაჩენით ტყვედყოფილების თავისუფლება მიბრძანებია. ამიერიდან თქვენი ბატონი სამშობლო არის!

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. ცოცხლობდეს მეფე!..

ე რ ე კ ლ ე. თქვენს კერას დაუბრუნდებით!..

მ ა ნ უ ჩ ა (სხვებს გამოეყო). მეფევ, იდიდოს შენი სახელი!

შინ დედაკაცები დაბრუნდებიან, ვისაც მკლავში ძალა აქვს და მტრის ბოღმა ახრჩობს, თქვენს ლაშქარში გვამსახურეთ.

ე რ ე კ ლ ე (მაიას). შენ რაღას იტყვი?

მ ა ი ა. ჩემო მეფეო, ეგ ბიჭები ჩემი რაზმია, არწივის ფრთებს გამოისხამენ მუდმივ ლაშქარში.

ე რ ე კ ლ ე. სულ დამავიწყდა... (მაიას.) ბიჭო, შენი სახელი?

მ ა ი ა (თავისთვის). ბიჭოო, რა ვუპასუხო...

ე რ ე კ ლ ე. შენ გეკითხები, შენი სახელი?

მ ა ი ა. ჩემო მეფევ... მათე ბიჭი ვარ.

ე რ ე კ ლ ე. მათე ბიჭი... (ცოლ გამოიცვალა.) ბიჭი კი არა, კაცი შენა ყოფილხარ და ქუდი შენა გხურებია... მათე ბიჭო, აზნაურობა მომიცია.

მ ა ი ა. დიდო მეფევ, მომიტევეთ კადნიერება, აზნაურობას რა თავში ვიხლი, როცა თავადი უზნეო არის.

ე რ ე კ ლ ე (გაღიმება, მერე თავადებს გადახედავს). ჩემს ამალაში გრიცხავ, შეძლებ კი ამას?

მ ა ი ა. გმადლობთ მეფეო, ჩემი ხმალი მუდამ გიერთგულებს.

ე რ ე კ ლ ე. ახლა ის მითხარი, ერთმა ბიჭმა ეს ყველა საქმე როგორ გაბედე?

მ ა ი ა. მამულის სიყვარული დიდ მთას ბარად აქცევს, საშიშ მტრებს — კურდღლების ჯოგად.

ე რ ე კ ლ ე. სახლთუხუცესო. მათე ბიჭს ვერცხლის რახტით აკაზმული ლურჯა ცხენი და მსუბუქი ხმალი, ჩემგან საჩუქრად მიბრძანებია.

სახლთუხუცესი მეფეს თავს დაუკრავს დასტურის ნიშნად.

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. ცოცხლობდეს მეფე!..

მაია მოწიწებით თავს დახრის.

ე რ ე კ ლ ე. სახლთუხუცესო, აი, ეს ქისა, ჩვენი შვილების საფასურად დიღმელ თავადს რომ მიუღია, მათე ბიჭს დაუბრუნე... მათე ბიჭო, ამ ოქროთი შენი რაზმი — ტყვედყოფილები გამოაწყვე, ისე მოკაზმე, როგორც მათე ბიჭს ეკადრებოდეს.

მ ა ი ა. გმადლობთ, მეფეო, ისე მოვკაზმავ, რომ მგონი ზარბაზანიც კი ვიგდო ხელთ.

ე რ ე კ ლ ე. თუ მასახელებთ, ერთ ზარბაზანს მე თავად მოგცემთ.

ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი. შენდი, მეფევ!..

Scanned with CamScanner

ერეკლე. ომის ღმერთს სძინავს, მშვიდობა ზეიმობს!.. სახლთ-
უხუცესო, ნადიმი მიბრძანებია!.. მათე ბიჭო, შენც მეწვიე.

მაია (მოწიწებით). გმადლობთ მეფეო.

ერეკლე დაამალა გადის. სახლთუხუცესმა ქისა აიღო, მაიას გადასცა, გადის.

ტყვედყოფილი ქალი (აღტაცებული). მათე ბიჭო, შენ
ვენაცვალე..

მაია (ტყვედყოფილ ქალებს). შინ წადით, ჩქარა.

ტყვედყოფილი ქალი. არც ჩვენ გვინდა შინ დაბრუნება.

მაია. ამას უყურეთ, დედაკაცი რაებს ბედავს! მეფის ლაშქარში
ხომ არ ჩაგწერთ... წადით, სოფელს შეატყობინეთ: ბიჭები გამოხს-
ნილია, კახის ლაშქარში ირიცხებიან... ჩქარა გათხოვდით, მეფეს
ვაჟკაცები გამოუზარდეთ.

ქალები. მადლობა მათეს!.. შენ გაიხარე!.. ბედნიერია, ვისაც
შეირთავ.

მაია (ქალებს). ნუ გააჭირეთ, გათხოვდით-მეთქი! (სასახლის დარაჯთ-
გამრიგეს.) ეს ბიჭები მოასვენე... ქალები გამიმგზავრე.

ქალები და ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად გამრიგეს მიჰყვებიან.

მანუჩა. მათე, მალე დაბრუნდი.

მაია. ვერა ხედავ, მეფე მპატიჟებს, ქალები უჩემოდ არსად გა-
უშვა, თითო ოქროს დავურიგებ, უნდა გათხოვდნენ.

მანუჩა. ბიჭი კი არა ანგელოზია..

მანუჩა ტყვედყოფილებს გაჰყვა. მაია მაღალი კიბით ადის, ეზოში ამილახვარი, ბარათა და გუბაზი შეამჩნია.

მაია (თავადებს, ცრუ მოწიწებით). წამობრძანდით, მეფე მშვიდობას
ზეიმობს... თავადიშვილნო, ცხვრები რად ჩამოგიშვიათ? (გადის.)

გუბაზი. ეჰე, ამილახვრის ცხვირსაც რომ მისწვდა..

ამილახვარი (გაცეცხლებული). ყაჩაღია, ყველა წმინდანს ვფი-
ცავ, ყაჩაღი!.. თავადიშვილი ახორში ცხენს ასუფთავებს, აქ გლეხუჭა
მეფურ ნადიმზე მეფემ გვერდით მოისვა. ჰოი, შერცხვენავ, რას
მოესწარ, ამილახვარო! (გუბაზს სხვა კოლზე.) შენ ის გამიგე, ვისი ლეკ-
ვია ეს არამზადა, ჩემს ცხვირს რომ მისწვდა.

დარბაზისაკენ მიდიან.

მოქმედება მესამე

სურათი მეოთხე

ჯავრი მჭირს აეკაცებისა,
ცეცხლი მწვავს ერთიორადა.
ბალხური

ერეკლე მეფის სასახლე თბილისში. წინა სურათის განლაგება. სცენაზეა მანუჩა, შერმადინი, გუგუნა და ქარიყლაპია. ჩაცმული არიან, როგორც მეფის ამალას ეკადრება. ფარიკაობენ.

მანუჩა (ქარიყლაპიას ეფარიკავება). ე, რა დონდლო ხარ, უფრო
მარდად, ქვემოდან დამიხვდი, ზემოდან, გვერდიდან...

შემოდის მაია, ყურთმაჯიანი ჩოხა აცვია.

მაია (მოფარიკავეთ). აგრე, კარგია... შეჩერდით! ერთი ერთთან
რა საქმეა, ორი ერთთან! მანუჩა, შერმადინ, მოდით... (მაიამ ხმალი
იშიშვლა, მანუჩას და შერმადინს ეფარიკავება.) არ ვარგა... ხმლის მოქნევას
სილამაზე თან უნდა ახლდეს, ვაჟკაცი ხმალდახმალ შებმული უნდა
როკავდეს. (მანუჩას.) რად იცინი, ბიჭო? ასეა! დაიწყეთ, სამი ერთად.

მანუჩა. სამი ბევრია.

მაია. რას ამბობ, მანუჩა? ყიზილბაში და ოსმალო ათჯერ მე-
ტია, მოდით. (გუგუნა მოემატება, სამი ეფარიკავება, ამილახვარი და
ბარათა გამოჩნდებიან.)

ამილახვარი (ბარათას). ხედავთ, ტყვედყოფილები მეფემ თა-
ვადიშვილების რიგზე გამოაწყო, მეფის კარზე ვარჯიშობენ, სულ
აირია აქაურობა, ვინ ყმა და ვინ ბატონი.

ბარათა. გუბაზი სად ბრძანდება?

ამილახვარი. უსტარი ჯერაც არ გაუგზავნია, სანდო კაცს
არჩევს.

მაია. ქარიყლაპია, მოდი შემენაცვლე. (მაია გამოეთიშა, ქარიყლა-
პია იბრძვის სამის წინააღმდეგ.)

Scanned with CamScanner

მ ა ნ უ ჩ ა (ქარიყლაპიას). ბუმბულივით გაგაფრენთ, ბიჭო...

მ ა ი ა. ბიჭებო, ჰკათ მაგას, ვითომ ყიზილბაშია.

ე რ ე კ ლ ე გამოჩნდება, მის უკან ს პ ა ს ა ლ ა რ ი დგას, ფარიკაობას თვალს ადევნებს.

შ ე რ მ ა დ ი ნ ი (ქარიყლაპიას). იჰ, შე აყლაყუდა!

გ უ გ უ ნ ა. არა, ვითომ ოსმალოა.

მ ა ნ უ ჩ ა. ვითომ ქაიხოსროა, დავცხოთ მაგასა! (გაცხარებული იბრძ-ვიან. ქარიყლაპია თავგამოდებით თავს იცავს, უკან იხევს.)

მ ა ი ა (გუგუნას). ფარი მიაშველე, ბიჭო...

გ უ გ უ ნ ა. ამასთან ფარი რად მინდა, თავს ჩხირით წავაცლი. (ქარიყლაპიას კუთხეში მიამწყვდევენ.)

მ ა ი ა (ერეკლე შეამჩნია, მოფარიკავეებს). რაღა ბრძოლაა, თუ მეფეს ვერ ამჩნევთ. (უმალ შეჩერდებიან. მოწიწებით ჩამწკრივდებიან, ქარიყლაპია სხვა მხარეს დგას.)

ე რ ე კ ლ ე (ახლოს მოდის). შეტევა მომწონს, მაგრამ ქართველის ლაშქარში სამი ერთს არასდროს უტევს. გვყავს კი ამდენი მეომარი? (გუგუნას ხმალი ჩამოართვა.) ერთი სამს უტევს! (მეფემ ხმალი ქარიყლაპიას ხმალს შემოკრა, ანიშნებს — მეფარიკავეო.) და ის ერთი კამეჩივით უნდა გაჯიქდეს, აი, თვისება ჩვენი მეომრის. (მეფე ქარიყლაპიას ეფარიკავება, გაკვირვებული ქარიყლაპია უკან იხევს, ხმალი ხელიდან გაუვარდა, კიბეზე ჩაჯ-და.) ბიჭო, უკან რად იხევ, მათე ბიჭის რაზმში ხარ, არ გეკადრება.

ქ ა რ ი ყ ლ ა პ ი ა. მეფეე ბატონო, ხმალი მოკლეა.

ე რ ე კ ლ ე. შენი სახელი?

ქ ა რ ი ყ ლ ა პ ი ა. ქარიყლაპიას მეძახიან, დიდო მეფეე.

ე რ ე კ ლ ე (გაღიმება). აი ნათლია შენა გყოლია... შენი ხმალი და ჩემი ერთი ზომისა არის... ბიჭო, ქარიყლაპია, ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წადგი, მისწვდება! (ხმალი ჰაერში სტყორცნა — გუ-გუნას დაუბრუნა, მეფე განცალკევდა სპასალარითურთ.)

მ ა ი ა. ჩქარა, აქედან მოუსვით. (ბ ი ჭ ე ბ ი გაღიან.)

ე რ ე კ ლ ე. ამილახვარო, ჩემო ბარათავ, ხედავთ ზოგი თავადი რა ბიჭებს ყიდდა, არწივებია...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. დიახ, მეფეო, მარდი ბიჭები არიან.

ე რ ე კ ლ ე (სპასალარს). ჩემი ლევანი თუ დაბრუნდა.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. არა, მეფეო, მუდმივლაშქრის მოწყობაზე დი-დათა ზრუნავს.

ე რ ე კ ლ ე. უნდა იზრუნოს, ყოველი დღე ბეწვის ხიდია.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. დიახ, მეფეო, ლაშქრის რიცხვი კვალად მცირეა.

მ ა ი ა. დიახ, მცირეა, და ამგვარი ზრუნვით არც ეშველება...

(მეფე და სპასალარი მაიას აქ ყოფნას არ ელოდნენ.) ჩემო მეფეე, ბატონები ყმებს გიმალავენ, მუდმივ ლაშქარში არ უშვებენ. პირზე კოდი პუ-რი აკერიათ, ერეკლეს რომ კაცი მივცე, კოდს ვინ მომცემსო, ისე ამბობენ, ვითომ ეს ქვეყანა ერეკლეს თავისთვის უნდოდეს. ჯარი რომ მათ მამულს იცავს, ამას ვერ ხვდებიან, მეფეე...

ე რ ე კ ლ ე. ყმებს მიმალავენ? ვინ?

მ ა ი ა. ბევრი თავადი. აი, პირველი ეს, ამილახვარი. ესეც, ბა-რათა. ამას რომ ჰკითხო, ორასი მეომარი ჰყავს, ჰეშმარიტად ხუ-თასსა სჭარბობს.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (საქციელწამხდარი). მეფეე, ჩვენო პატრონო, მო-მიტევეთ, ტყუის ეს თავხედი ბიჭი... ხუთასი კი არა, შვიდასი მეომა-რი მყავს. ბარათამ იცის, ჩემს მამულში გუბაზი იყო. მე შვიდასი კაცის საჭურველი გავამზადე, შემოწმება ადვილი არის.

მ ა ი ა. ლევან ბატონიშვილისათვის გითქვამს ორასი მყავსო.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ორასი ხეიბარი მყავს-მეთქი, უშეერად ლაყ-ბობ.

მ ა ი ა. მე ჩემი რაზმით შუა ქართლი შემოვიარე, ხალხი რას დაგომალავს! ყველა გავიგეთ, კახეთშიაც რომ გახლდით, მეფეე...

ე რ ე კ ლ ე (დამცინოდ). რა სოფლები შემოიარეთ?

მ ა ი ა (სხაპასხუპით). ჩხიკვთა, გომარეთი, ურწევანი, ნახიდური, ჯუ-ღაანი, მარაბდა, თორტიზაში გახლდით. ატენი ვნახეთ, ბოტისი, შუბათი და ხოვლე გზად გამოვიარეთ.

ე რ ე კ ლ ე (სხვებს). დამტოვეთ!

ს პ ა ს ა ლ ა რ ი, ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი და ბ ა რ ა თ ა გადიან.

მ ა ი ა. ნუ გამირისხდები, მეფეე, და არც თქვენი სიძე ანდრო-ნიკაშვილია ამ საქმეში პატიოსანი, მეომრებს მალავს... მე, ლევან ბატონიშვილის დავალებით შემოვიარე.

ე რ ე კ ლ ე (კიბეზე ჩამოჯდება, მხნედ). ო, ჩემო მათე, რომ იცოდე რა ძნელია ქვეყნის შენახვა.

მ ა ი ა (მთელი არსებით). მეფეე, გლეხს რომ ბატონის მათრახისაგან დაიფარავდე, რარიგად გიერთგულებს, ათჯერ მეტად ეყვარებოდი.

ე რ ე კ ლ ე. ქართველი კაცი დასაბამიდან რკინას სჭედდა, რვალს აკეთებდა, ხურო იყო მისი ხელობა, იცოდა წიგნი, საყდრის შენება, გზების გაყვანა, ერის ტკივილს ჭკუა-გონებით უსალბუნებდა... აღმო-სავლეთში კაცთმოყვარებას ქადაგებდნენ საქართველოს ფილოსო-ფოსნი, ელინთა ქვეყნის ნათელ გონებას ცხოვრების ეშხი და საი-დუმლო ოქროს საწმისზე კოლხიდაში ეგულვებოდა... ეს იყო ძვე-ლად, უხსოვარ დროში. ჩვენს ქვეყანას უტეხი ნების ქალწულობა

Scanned with CamScanner

შვენოდა მაშინ... ჟამთა მსვლელობამ ცხოვრების ჩარხი სულ სხვა-
გვარად დაატრიალა; ფერდშელეწილი ჩვენი ქვეყანა მაჰმადის კუბ-
რის ოკეანეში შეაცურა, ბნელეთის კლდეებს ეხეთქება მისი ხომალდი...
(აღგება.) ნუ შეშინდები, ჩემო ბიჭო, ამირანის ცეცხლის ნაკვერჩხალი
შაინცა ბეუტავს, ვის ჩაუქრია, რომ აწ ჩააქროს... ჩვენს ეულ აფრას
ჩვენ დავიფარავთ, მათე ბიჭო, ხომ დავიფარავთ?

მ ა ი ა (მუხლებზე დაეცემა, აღტაცებული და მოხიბლული). ჰო, დავი-
ფარავთ.

ე რ ე კ ლ ე. დავიფარავთ, სისხლით და ცრემლით.

მ ა ი ა (აღგება). ცრემლით, რათა?

ე რ ე კ ლ ე. ბიჭო, სისხლს ცრემლი ახლავს. ჩვენი კაცის უგუნუ-
რებას ქვეყნის პატრონი მახვილით იზღავს და იმ სისხლიან მახვილს
შენი მეფე ცრემლითა სწმენდს... სხვა გზა არ არის, სანამ ეს რკინა
არ გამცვეთია (ხმალზე ანიშნა.) და გული მიძგერს, ამგვარი ბორგვით
ჩვენს ხალხს მშვიდობას დავუსადგურებ, არც რომის პაპი და არც
მაჰმადი, სამშვიდობო ნავსაყუდელი ჩემო ბიჭო, ერთმორწმუნე რუ-
სეთთან კავშირი არის!

მ ა ი ა. მით უმეტეს, ჩემო მეფევ, მათრახისაგან ყმა დაიფარე,
ათკეცი სიყვარული ძალას შეგმატებს.

ე რ ე კ ლ ე. თავადს ყმა წავართვა? მგელს რომ ლუკმა წავარ-
თვა, იგივე არის. მაშინ გარე მომხდურ მტერს გააფთრებული თა-
ვადობა წამოუძღვება. ამდენი ძალა შენს ერეკლეს არა აქვს, ბიჭო!

მ ა ი ა. დიდ მეფეს გეძახიან, პატარა მეფეებად თავები მოაქვთ...
(ერეკლე მრავალმეტყველად შეხედავს მაიას.) ვიცი, ჩემი განსვენებული ბა-
ტონი ასე ამბობდა: ყმა ბატონისაა, მეფობა — ერეკლესიო. გა-
მოდის სხვა: ხალხი წუწკ ბატონს, მეფეს რა? მარტო გვირგვინი?!

ე რ ე კ ლ ე. მათე ბიჭო, აქ ჩამოჯექი... შენ რომ მეფე იყო, პირ-
ველად რას მოიმოქმედებდი?

მ ა ი ა (ამგვარი კითხვით გოცებული). მეფე...

ე რ ე კ ლ ე. ჰო, მეფე...

მ ა ი ა (გათამამებული). პირველად? თავგასულ ბატონებს დილეგში
ჩავყრიდი, ისე კი არა, წუწკი ქაიხოსრო ახორში რომ გყავს. ცხე-
ნის მოვლა აბა, რა სასჯელია?!

ე რ ე კ ლ ე (ღიმილით). კიდევ, კიდევ, მათე ბიჭო?

მ ა ი ა. კიდევ, ვინც ლაშქრის შედგენაში ხელს შემიშლიდა, თა-
ვებს დავაყრევინებდი, ასე, ძირში...

ე რ ე კ ლ ე. შენს მეფეს როგორ მომექცეოდი?

მ ა ი ა (დიდი სიყვარულით). სპასალარად დაგნიშნავდი, მხარ-
გრძელობას კარგად გასწევდი.

ე რ ე კ ლ ე. მათე ბიჭო, ერეკლეს ბრძოლა მოგწონს, მეფობა არა?

მ ა ი ა. ასეა და რა ვქნა... თავადებს ეპუები, მეფევ, ამილახვარ-
ზე რომ გითხარი, ყმებს გიმალავს-მეთქი, რატომ არ დასაჯე?
(ერეკლე დუმს.) ასეა.

ე რ ე კ ლ ე (მაიასთან ახლოს მივა. მაია მუხლებზე წამოდგება). ამ ყბე-
დობისათვის ურჯულოთ მეფე თავს წაგაგდებინებდა... „ასე, ძირში“...
(სადარბაზო კიბეზე ადის.) „ასეა და რა ვქნა“. (გაეღიმება.)

მ ა ი ა. ვიცი, განა არ ვიცი.

ე რ ე კ ლ ე. ეჰე, ჩემო მათე! აბა რას გერჩი, ვინ იცის, შორს, მო-
ცავალში როგორ იქნება... იქნებ ისე აჯობოს, როგორც შენ ამბობ.
ისე თუ იქნა... ჩვენ არ ვიქნებით...

ე რ ე კ ლ ე გადის.

მ ა ი ა (თვალს გააყოლებს). რა კარგი ხარ, ერეკლე, პატარა კა-
ცის სიტყვას რომ ჰგუობ... ეჰ, ჩემს სოფელში რამდენი ბრძენი
კაცია, იმათი სიტყვები მათრახის ტყლაშუნში იკარგება (უნდა გავიდეს,
რაღაცას ფეხი წაჰკრა ბიჭურად.)

მეორე მხრიდან გ უ ბ ა ზ ი შემოდის. მწუხრის ჟამია.

გ უ ბ ა ზ ი (საიდუმლო ხმით). შენ, ჰეი, ბიჭო!..

მ ა ი ა. თავადო, შენი რა ხელწამოსაკრავი ბიჭი ვარ, სახელი მქვია!

გ უ ბ ა ზ ი. ვიცი, რა სახელისაც ბრძანდები, ყველაფერი კარგად
შევიტყვე, მეფეს ატყუებ, უნამუსო...

მ ა ი ა. როგორ?

გ უ ბ ა ზ ი. ატყუებ-მეთქი!.. მათე ბიჭს გეძახის, შენ ქალი ხარ —
მაია.

მ ა ი ა. მიჰქარავ. ხმალში გიწვევ, იქ გაიგებ ვინ ქალი და ვინ მა-
თე ბიჭი, ხმალში!..

გ უ ბ ა ზ ი (დაუყვავებს). ნუ ფიცხობ. ერეკლე ადამიანში მეომარს
ხედავს, განურჩევლად, ქალია იგი თუ მამაკაცი... იმით მაინც
მიხვდი, რომ სამხედრო საქმით დაბრმავებულმა, შენს სიტურფეში
ქალის სინარნარე ვერ შეამჩნია.

მ ა ი ა. ყბედო თავადო, როგორ ბედავ პატარა კახის აუგად
ხსენებას?!

გ უ ბ ა ზ ი. ქალს ვერ ამჩნევს-მეთქი ხმალზე შეზრდილი მეფე.

მ ა ი ა. ჩვენს დროში ერეკლეს უთქვამს შოთას სიტყვები—„ლეკვი
ლომისა სწორია“.

გ უ ბ ა ზ ი. გამოტყდი?

Scanned with CamScanner

მ ა ი ა. თავადო გუბაზ, თუ თავი გიყვარს, შეწყვიტე, თორემ თავს წაგაგდებინებ.

გ უ ბ ა ზ ი. ჯერ ის შეგრჩეს, მკვლელო.

მ ა ი ა. გუბაზ!.. (ხმაზე ხელი გაიელო.)

გ უ ბ ა ზ ი. მაია წყნეთელო! შენი ხმლით დაკოდილი თავადის სული მესამე თვეა ღმერთმა მიიღო.

მ ა ი ა. ეშმაკსაც წაუღია, თუ სადმე წუწკი ბატონი მოკვდა.

გ უ ბ ა ზ ი. შენი ხმლით-მეთქი!

მ ა ი ა (სიკერპე გაუნელდა). მე ის დავკოდე მხოლოდ.

გ უ ბ ა ზ ი. დაკოდილს სისხლი მოეწამლა, ვერა მკურნალმა ვეღარ უშველა.

მ ა ი ა. ღმერთმა შეუნდოს შეცოდება.

გ უ ბ ა ზ ი (შემპარავი კილოთი). მეფის განჩინებით შენ კოცონს ელოდე.

მ ა ი ა. რა არის კოცონი?

გ უ ბ ა ზ ი. ცეცხლზე დაწვა. ასეთია მეფის კანონი.

მ ა ი ა. თავადო, იმ სოფლისა სხვა არა შეგიტყვია?

გ უ ბ ა ზ ი. სამსჯავრო სხვას არას გამოიკითხავს!

მ ა ი ა. მაინც რა იცი?

გ უ ბ ა ზ ი. თვითონვე ხვდები, მკვლელის მამას მათრახის ქვეშ სული ალმოხდა.

მ ა ი ა. მამა!.. (ჩაუმხობა. ქვითინებს.)

გ უ ბ ა ზ ი. ჩუმად.

მ ა ი ა. ოჰ, ღმერთო, უბედური მამაჩემი! რა დააშავა?!

გ უ ბ ა ზ ი. მკვლელის გაჩენისათვის. ბევრი ინანეს, რომ მამის შეტი სხვა არავინ დაგრჩა, ყველას გაწყვეტდნენ.

მ ა ი ა (სიმხნე დაიბრუნა). კარგია, ძლიერ კარგია, თავადიშვილი რომ მომიკლავს, ძლიერ კარგია.

გ უ ბ ა ზ ი. თავადი ყმის ხელით! შემსუბუქებად კოცონს ელოდე.

მ ა ი ა. მაშ რაღას უცდი, მოახსენე მეფე ერეკლეს. (ადგილი შეინაცვლა.) ან შენ კი რატომ, მე თვითონ ვეტყვი, პატიოსნებას საქართველოში ხმლებით იცავენ დედაკაცები!..

გ უ ბ ა ზ ი (წინ აღუდგება). შეჩერდი! გაგიჟებულხარ! ამ სიტყვებით სჯულმდებელს რას გადაუხვალ—ყმა დედაკაცმა ბატონი მოკლა.

მ ა ი ა (თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო). კიდევ ვინ იცის ეს ამბავი?

გ უ ბ ა ზ ი. არავინ.

მ ა ი ა. მეგობარი ხარ?

გ უ ბ ა ზ ი. ეგ შენზეა დამოკიდებული.

მ ა ი ა. რას მირჩევ?

გ უ ბ ა ზ ი. გაქცევას.

მ ა ი ა. სად?

გ უ ბ ა ზ ი. სადაც მე გეტყვი.

მ ა ი ა (სინანულით). მზად ვარ.

გ უ ბ ა ზ ი (სიფრთხილით). იბრაიმ ხანი გაგიგონია?

მ ა ი ა. საქართველოს მტერი?

გ უ ბ ა ზ ი. იბრაიმ ხანს თუ ერეკლე ტყვედ ჩაიგდებს, კი არ ძოკლავს, ტყვეებზე გაცვლის, შენ კოცონზე დაგწვავს, ხომ გჯერა?

მ ა ი ა. მერე?

გ უ ბ ა ზ ი. ქვეყნისათვის შენ უფრო საშიში ყოფილხარ, ვიდრე იბრაიმ ხანია, მეთანხმები?

მ ა ი ა. აბა, რა გითხრა, სიტყვების წყობით აგრე გამოდის.

გ უ ბ ა ზ ი. მართლმსაჯულება ასეთი არის, ნუღა აყოვნებ, იბრაიმ ხანთან გაფრინდი, არაქსის გაღმა მისი ლაშქარი ბანაკად დადგა.

მ ა ი ა. მიმიღებს?

გ უ ბ ა ზ ი. ჩემი უსტარი მიუტანე. (გარემოს თვალი მოავლო.) აჰა.

მ ა ი ა. უსტარი... რატომ ირჯებით ჩემს სასიკეთოდ?

გ უ ბ ა ზ ი. ქვეყანა ჯერ ისე არ წამხდარა, რომ კეთილ საქმეს ხალხი ჰკვირობდეს. უბეში ღრმად ჩაიდე.

მ ა ი ა. უბეში არა, აქა სჯობია. (სხვაგან ინახავს.)

გ უ ბ ა ზ ი. უფრო ღრმად, მსტოვარმა არ შეგამჩნიოს, ერეკლეს ისინი ყოველ ჯვარედინზე ჰყავს.

მ ა ი ა. შიგ რა სწერია აგრე საფრთხილო?

გ უ ბ ა ზ ი. იბრაიმ ხანი მიხვდება მხოლოდ.

მ ა ი ა. სიტყვით რა დავუმატო?

გ უ ბ ა ზ ი. ერეკლე მეფეს ანწუხელებმა მეგობრობა შესთავაზეს, ჩრდილოეთიდან მეგობრობით კედელს ამაგრებს, რუსთა ხელმწიფეს ელჩები გაუგზავნა-თქო.

მ ა ი ა. რუსეთს გაგზავნილ ელჩებს იბრაიმ ხანი რას მოუხერხებს?

გ უ ბ ა ზ ი. მან უკეთ იცის, ჩქარა, გაფრინდი! ნუღა აყოვნებ!

მ ა ი ა. მაგრამ ეს უსტარი მრავალ მამულიშვილს, პატიოსან თავადს და ყმას სიკვდილს რომ უმზადებს?..

გ უ ბ ა ზ ი. სულელო დედაკაცო, სიკვდილს განშორდი, თავს უშველე!

მ ა ი ა. მე ერთი თავადი მოვკალი, რომ პატიოსნება დამეცვა ჩემი, ამისათვის მთლად საქართველოს მტრად გავუხდე?

გ უ ბ ა ზ ი. რაებს როშავ? ერეკლეს ხელში ჩვენ სიცოცხლე არ გვიწერია.

მ ა ი ა. გუბაზ, მთლად საქართველოს ურჯულოზე ჰყიდი?! არა,

Scanned with CamScanner

თავადო, მათე ბიჭი სამშობლოს არასოდეს არ უღალატებს!.. მეფე მიხვდება, იგი გამიგებს. (გასძახებს.) მეფე ერეკლე!.. მეფე ერეკლე!.. (სასახლისაკენ უნდა გაიქცეს.)

გ უ ბ ა ზ ი. შეჩერდი, გიჟო... (ხმალს იშიშვლებს.)

მ ა ი ა. გზა!.. (ხმლებით იბრძვიან.)

გ უ ბ ა ზ ი. ჭკუას მოუხმე.

მ ა ი ა. გზა!..

(სასახლის კიბეზე იბრძვიან, მაია ბრძოლით გზას იკაფავს, მაღლა მიიწევს. გუბაზი გადაეღობება, მაია აჯობებს, გუბაზს კლავს. მაია ხმალს დააგდებს შეშინებული.)

ჩემი რა ბრალია, ფარიკაობა ცუდად სცოდნია. (გამხნევდება.) ეს უსტარი ბევრ შენისთანას ბოლოს მოუღებს...

დარბაზიდან სპასალარი გამოდის, ხმალი გააშიშვლა, მაიას გადაეღობა, გზა არ მისცა. ისმის ხმაური, ხმები: გუბაზი მოკლეს!.. თავადიშვილი!.. შემოდიან: ამილახვარი, ბარათა, სასახლის დარაჯები და სასახლეში მყოფი სხვა პირები.

ბ ა რ ა თ ა. გუბაზი მოკლეს!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. სასახლეში ყაჩაღებია, ყაჩაღები!.. აჰა, მკვლელი და ისიც ვიცი, თუ რატომ მოკლა...

მაია დაბლა ჩამოდის, მას დარაჯები შემოერტყმებიან. შემოდიან ერეკლე და სახლთუხუცესი.

ხ მ ე ბ ი. მათე ბიჭმა თავადი მოკლა!..

ე რ ე კ ლ ე. სასახლის კარზე მკვლელობა?! ვინ მოკლაო, გამაგებინეთ!..

ჩოჩქოლი შეწყდა.

ბ ა რ ა თ ა. მათე ბიჭმა გუბაზი მოკლა, დიდო მეფევ, ჩვენო მფარველო. (გვამს ფასტირის.)

ე რ ე კ ლ ე. როგორ თუ მოკლა, რისთვის მოკალი, ბიჭო, თავადიშვილი?

მ ა ი ა. შენი და ქვეყნის ღალატისათვის!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ტყუის!

მ ა ი ა (უსტარი გამოაჩინა). ამ უსტარით არაქსის გალმა მისტუმრებდა თქვენი თავადი. (სპასალარმა უსტარი მეფეს მოაწოდა.)

ე რ ე კ ლ ე (უსტარს დახედა). სასახლის კარზე შეთქმულებაა; ოსტატურად შედგენილია, ხელსაც არ აწერს... (სპასალარს.) გზები შეკარით, საგუშაგო გაძლიერეთ. (მაიას.) ბიჭო, როდის გაუხდი გუბაზს შეგობრად?

მ ა ი ა. სანამ მოვკლავდი, წინა წუთებში.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მეფევ, თავადიშვილს ამასთან სამეგობრო რა ექნებოდა. გუბაზმა თავად თვალი შეასწრო ამ ბიჭს, როცა უსტარს საწამიკითხე, დამმორჩილდიო — ამ ყაჩაღმა გაქცევა სცადა. თქვენი ერთგული თავადიშვილი წინ გადაუდგა, მსხვერპლი შეიქმნა.

ბ ა რ ა თ ა. დიახ, ასეა, როცა ამ ყაჩაღს ებრძოდა, საბრალომ ჩვენ მოგვაძახა — ჯაშუშია, მომეშველეთო!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ის წამი იყო უნდა მივშველებოდით, ამ ყაჩაღმა დრო იხელთა და ხმალი შიგ გულში აძგერა თქვენს ერთგულ გუბაზს.

ერეკლემ მზერა სპასალარზე შეაჩერა.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. მეფევ ბატონო, სტყუის ეს ბიჭი. ჩემმა ყურებმა გაიგონეს, ამ ბიჭმა თავადიშვილის გვამს რომ მიაძახა: ეს უსტარი ბევრ შენისთანას ბოლოს მოუღებსო.

ე რ ე კ ლ ე. მათე ბიჭი ჩასვით დილეგში. (ერეკლე გადის.)

მ ა ი ა ს იარაღს აჰყრიან, დ ა რ ა ჯ ე ბ ს გაჰყავთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

დილეგი. გისოსში სინათლე შემოდის, ტახტზე მ ა ი ა წევს.

მ ა ი ა (თავის თავს ესაუბრება). მართალი კაცი იღუპება, მერე რა კაცი... არა გიშავს რა წყნეთელო, წუწკი ბატონის ყმად დაღუპვას ასე გიჯობდეს — სინდისის ყმა დაიღუპო; თუ სიკვდილია, ბარემ პატარა კახმა ბრძანოს. კაი სიკვდილი არა სჯობია უხეირო სიცოცხლეს? (ღიღინებს.) არა, დიდი ახირებული კი ყოფილხარ... (ადგება.) რატომ მოკალი თავადიო, ერეკლე, ეგ შეკითხვა არ გეკადრება. მოვკალი!— გღალატობდა და მოვკალი... „რატომ მოკალი, რატომ?..“ რომ არ მომეკლა, თვითონ მომკლავდა... (დაწოლა იფიქრა. კვლავ წამოიჯრა.) რატომ არ დავკოდი?.. დაკოდილი განა არ გეტყოდა, რომ ქალი ვარ. იმასაც ხომ გეტყოდა, ჩემი ხელით რომ ზეცას ჩემი ბატონის სული მიუღია... არა, თუ ქვეყნის მოღალატე მოვკალი, შე დალოცვილო, რაღას მეკითხები და რაღა დილეგში მამწყვდევ. მე შენკენ ვარ, შენ ეშმაკისაკენ... სანამდე ვიყო აქ? (თვალი იატაკს გააყოლა.) თაგვი!.. ამისი მეშინია ყველაზე მეტად... (წვება.) ეჰე, რა საყვარელი დავკარგე.

გისოსში ჯ ე მ ა ლ ი შემოიხედავს.

Scanned with CamScanner

ჯ ე მ ა ლ ი. ვინ დაკარგე, მათე?

მ ა ი ა (ჯემალს ცერად გახედა). მეფე ერეკლე.

ჯ ე მ ა ლ ი. ჯო, მეფეს რა მოუვიდა?..

მ ა ი ა. შეცდა, მართალი კაცი დილეგში ჰყავს.

ჯ ე მ ა ლ ი. ერთხელ ბრძენიც შეცდაო, არ გაგიგონია, შენ?

მ ა ი ა. ბრძენი ერთხელ ცდება, ჯემალავ, მაგრამ მართალი კაციც რომ ერთხელ იბადება... მეფე იმ შეცდომას გაიგებს, მაგრამ მეორედ რომ შეცდა.

ჯ ე მ ა ლ ი. რა ქნა, ჯო?

მ ა ი ა. შენ ჩემი დილეგის კლიტე ჩაგაბარეს. ესეც შეცდომაა, შენ ჩემს რაზმში ხარ.

ჯ ე მ ა ლ ი. მეც ვუღალატო?

მ ა ი ა (ზე წამოიჭრება). მეც ვუღალატოო?! სხვამ ვინ უღალატა? ჯემალავ, ვაითუ გგონია მოღალატე ვარ? არ იფიქრო!.. არც ჩემი გაპარება არ იფიქრო! გახსოვს მეფემ რომ გითხრა: შენს ქართველობას ბევრჯერ გამოვცდიო. მეფე აჭარაზე ფიქრში ღამეს ათენებს. იგი სამართლიანია.

ჯ ე მ ა ლ ი. სამართლიანი თუა, რატომ დაგსაჯა?..

მ ა ი ა. განგებამ ასე ინება.

ჯ ე მ ა ლ ი (უმაყოფილოდ). განგებამ... განგების ნებით ერთხელ აღამ ორმოცი დღე ბნელში მამყოფა — თქვენი მარხვა, გიაურო, ორმოცდღიანია და ასე ორმოცი დღე ეგდეო. მერე სად ვეგდე, მკითხე, ჯო..

მ ა ი ა. სად?

ჯ ე მ ა ლ ი. ჭურში.

მ ა ი ა. ჭურში?

ჯ ე მ ა ლ ი. ჰო, ბაბუაჩემის დაყრუებულ ჭურში. გიაურს მაჰმადის დაგმობილი ღვინის ჭური მოუხდებაო. ფაფას ჭინჭილაით მაძლევდა, ჯო, გიაურს ჭინჭილა უყვარსო. ისე, გამიჭირდა ჭურში ჯდომა, ისე, რომ მის გამკეთებელს, ბაბუაჩემს ღდინში ვდიე. ქერიმ აღას სისხლი გაშრეს.

მ ა ი ა. ქერიმ აღამ იცის, რომ დილეგში ვარ?

ჯ ე მ ა ლ ი. არ ვუთხარი, გაიხარებდა... შენ რომ დაგამწყვდიეს, იმ დღეს ქერიმ აღა მაგრად ვცემე. ღვინოში შეზელილ ფაფას ვაძლევ ჯო!.

მ ა ი ა. მუხლი მოურჩა?

ჯ ე მ ა ლ ი. დაფილენჯდა.

მ ა ი ა. აქ შემოაგდე, ერთი მეც ვცემო.

ჯ ე მ ა ლ ი. შენ რატომ შეწუხდე, ჯო, ერთს კიდე ვცემ... ისე

ვცემ, ხმას გაგაგონებ... უსმინე. (წასვლა დაამირა, კვლავ გისოსში შემოიხედავს, განცვიფრებული.) მათე ჯო, მეფე!.. მეფე!.. ჯო!..

მ ა ი ა. თვითონ ერეკლე?!. (გასწორდება, ტახტს მიალაგებს.)

შემოდის ე რ ე კ ლ ე. მუხლებზე დაჩოქილმა ჯ ე მ ა ლ მ ა დილეგის კარი მოხურა, მიიმალა.

ე რ ე კ ლ ე (მაიას შეათვალიერებს, ტახტზე ჩამოჯდება). მათე ბიჭო, მინდა რომ შენ ბრალი არ გქონდეს და მართალი იყო. თუ რითიმე შეგიძლია მართალი იყო, უთხარ შენს მეფეს. (უკმაყოფილოდ.) ჩემმა მსაჯულებმა მათეს სიკვდილი გადაუწყვიტეს.

მ ა ი ა. მაშ რაღა დარჩა?!

ე რ ე კ ლ ე. მეფის დასტურს ველოდებიან.

მ ა ი ა. აბა, რა გითხრა, ჩემო მეფეე. მართალი ვარ და ეგ არის.

ე რ ე კ ლ ე. დაამტკიცე, რომ მართალი ხარ.

მ ა ი ა. მართალი ხალხი რომ სიმართლის მტკიცებას მოჰყვეს, ქვეყანას ხალხის ყაყანი წალეკავდა.

ე რ ე კ ლ ე (მკაცრად). დილეგში მჯდომმა სიმართლე უნდა აბტკიცოს.

მ ა ი ა (არ შეეპუა). მეფემ ბრძანა, დილეგში ჩასვითო; იმავე მეფემ დაამტკიცოს, რომ მტყუანი ჩასვა.

ე რ ე კ ლ ე (თითქოს მუდარით). მომეშველე, ბიჭო, ერთად ვამტკიცოთ.

მ ა ი ა (უნებლიეთ). მეფეე, ბიქინა გახსოვს?

ე რ ე კ ლ ე. ბიქინა?

მ ა ი ა. დიახ, თქვენი შვლის ნუკრი, ბავშვობისას ფშავში რომ დაგიჭერიათ...

ე რ ე კ ლ ე (სახეზე ნათელი მოეფინება). როგორ არ მახსოვს, ჩემი ბიქინა.

მ ა ი ა (სხაპასხუპით).

ჩიოდა ამას ბიქინა,
როს ხდომა ჰქონდა სულისა,
სად მყავს აწ ჩემი ბატონი,
ჩემი ამგები ხულისა?
უმისოდ მომკლეს დიაცთა,
არ მყვანდა მტკენი გულისა..

სასახლის დიაცებმა, მეფეე, რისთვის მოკლეს შენი საყვარელი ბიქინა?

ე რ ე კ ლ ე. ჩემი შვლის ნუკრი სასახლეში ბევრს დახტოდა, სასახლის მსახურთ აწუხებდა. (სინანულით.) ამიტომ მოკლეს ჩემი ბიქინა.

Scanned with CamScanner

მ ა ი ა (მდგომარეობას შეიცვლის). ჩემო მეფევ, ბიჟინასებრ შეც ბევრს დავხტოდი თქვენს სასახლეში. ბიჟინამ სასახლის დიაცნი შეაწუხა, მე მეფისა და ქვეყნის მოღალატე თავადები გავამწარე და პირველ მათგანს დღე დავუმოკლე; აი, მიზეზი სასიკვდილო განაჩენისა, მათ მოსთხოვეთ მტკიცე საბუთი.

ე რ ე კ ლ ე. შენმა ჭკვიანმა პასუხებმა გამიმტკიცეს ჩემი ეჭვები... არც ერთი მხარე ტოლს არ უდებს მეორე მხარეს.

მ ა ი ა. თვალთმაქცებით ავსებულა სასახლის კარი... მომიტევეთ ეგ სითამამე.

ე რ ე კ ლ ე (თითქოს თავისთვის). ქვეყანა იმდენად გაირყვნა, რომ რაც უფრო ახლოს ხარ ჩემს სულსა და გულთან, მით უფრო უცხო მგონიხარ, საგანგებოდ გაწრთვნილი ვინმე.

მ ა ი ა. ჩემს სულშიაც თუ სიბინძურის გუბესა ხედავთ, დედამიწა საშინლად აყროლებულა.

ე რ ე კ ლ ე. თუ გისწავლია?

მ ა ი ა. ეკლესიაში ბერის ფსალმუნებს ვისმენდი, სოფლის თავადების უგუნურობას ვხედავდი. ერთხელ შევესწარ, ბატონის უღელში ყმის დედაკაცს რომ სული აღმოხდა.

ე რ ე კ ლ ე. შიშის გრძნობა როდის დაკარგე?

მ ა ი ა. როცა შევიტყვე, მამაჩემს, თავადის ბრძანებით, მათრახის ქვეშ სული აღმოხდა.

ე რ ე კ ლ ე. რისთვის დასჯეს ასე ასტიკად?

მ ა ი ა. ნამუსიანმა გლეხმა ქალი აღზარდა უმწიკვლოდ, მართლად და ამის გამო წუწკმა ბატონმა ვეღარ შეძლო პირუტყვული ჟინი მოეკლა.

ე რ ე კ ლ ე. შენი და?.. (მცირე პაუზა.)

მ ა ი ა. ჰო... მას ისე უყვარს საქართველო, როგორც მის მეფეს, პატარა კახი მისი მარადჟამს სალოცავია.

ე რ ე კ ლ ე. მათე ბიჭო, კმარა, შეწყვიტე! მტერთან შებმის წინ არ მინდა ვიფიქრო, რომ შენი მეფე უგვანო ხალხის დასაცავად იღვწის, სისხლსა ღვრის.

შემოდის ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი, ხელში მეფის ქუდი და წამოსასხამი უჭირავს.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. შეფევ ბატონო, აქ ბრძანებულხარ... ლაშქარი მზად არის, სპასალარები სადროშოებს უდგანან თავად.

ე რ ე კ ლ ე აღგება, მუხლებზე მდგომ მაიას შესცქერის, მისკენ გასამხნევებლად გაშვერილ ხელს მკაცრი მოძრაობით მოიქნევს; უსიტყვოდ გადის, ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი მიჰყვება.

მ ა ი ა (მარტოდ დარჩენილი). არა, მეფეო, ზნედაცემულ ბატონებს

ხალხად ნუ მიიჩნევთ, ხალხი დიდია, იმისი ძალით შენ საქართველოს დიდებას იცავ. (შორიდან მოისმის ლაშქრის სადიდებელი ჰანგები.) კვლავ ლაშქრობა, ომი!.. ჰოი, ღმერთო დიდებულო, შენ დაიცავ ერეკლეს ჯარი... ერეკლე ომში და მე აქ ვეგდო?! (ყვირის.) ეჰეე! დარაჯნო, კარი გამიღეთ!

გისოსში ჯ ე მ ა ლ ი გამოჩნდება.

ჯ ე მ ა ლ ი. მათე, რა მოგდის?

მ ა ი ა. ომია, მტერი მოგვადგა. დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას, ჩვენი ლაშქარი შეკაზმული დამხვდურად მიდის.

ჯ ე მ ა ლ ი. წავლენ და წამოვლენ, ნუ გეშინია...

მ ა ი ა. ერეკლესთან მხარდამხარ ბრძოლა მწყურია. გამიღეთ კარი, ერეკლესთან ლაშქარში მინდა.

ჯ ე მ ა ლ ი. მათე, ერეკლემ შენი დასჯა ბრძანა, შენ მასთან მიძვრები? ნუ შეიშალე ჯო!

მ ა ი ა. ჯემალავ, შე ნათათრალო, ერეკლე საქართველოს დიდებას იცავს?

ჯ ე მ ა ლ ი. შენ ხომ მითხარი: მეფეს არ უღალატოო, რაღას მერჩი?

მ ა ი ა. სად არიან ჩვენი ბიჭები? ჩემი რაზმი!..

ჯ ე მ ა ლ ი. ლაშქარში, სასახლე სულ გაიწმინდა... ჩუმად... კვლავ ვიღაც მოდის.. (მიიმალება.)

მ ა ი ა. რა ვქნა, ჯემალამ გამაპაროს?.. მეფის ნდობა წაუხდება, მასაც დასჯიან.

ჯ ე მ ა ლ ი (შემოდის). მათე, ხუცესი მოვიდა, ქადაგება უნდა წაგიკითხოს, დღეს ხომ წითელი პარასკევია.

მ ა ი ა. არა, ჯემალავ, დღეს უკანასკნელი პარასკევია, აღსარებას მთხოვენ. ცოდვაშენდობილს მისტუმრებს მეფე.

ჯ ე მ ა ლ ი (შეშფოთებული). რას ამბობ, ჯო, შენმა საყვარელმა მეფემ ასე გაგწირა? ქრისტიანი მეფე ხონთქარივით ხომ არ ირჯება? ვაი, მათე... (ტირის.)

მ ა ი ა (მკაცრად). ჯემალავ, ვაჟკაცის ტირილი როგორ იქნება?

ჯ ე მ ა ლ ი. როგორ არ ვიტირებ, ძმას მირჩევნიხარ, ჩემო მათე. სამართალი არც აქ ყოფილა, მთელი ქვეყანა როგორ დაბნელდა. (მტკიცედ.) ჯიღი ვკარი შიგ!

შემოდის მ ა ნ უ ჩ ა, მღვდლის მორთულობით; თმა და წვერი გაშვებული აქვს, მას ჯემალი შემოუძღვება.

მ ა ნ უ ჩ ა (ხმაშეცვლილი). შვილო ჩემო, ეყვარებოდე ქვეყანასა შენსა უკუნითი უკუნისამდე, გფარავდეს ღმერთი, ამინ!

Scanned with CamScanner

მ ა ი ა (ნამდვილი მღვდელი ჰგონია). გმადლობთ, მამაო.

მ ა ნ უ ჩ ა (ჯემალს). შვილო ჩემო, ქადაგებისას დარაჯნი დილეგთა, საკანთა და შემაციწროებელთა სულისა და ხორცისა კაცთა და მოყვასთა მოწამედ არ ესწრებიან. ამინ!

ჯ ე მ ა ლ ი (მაიას). რაო, ჩემი დასწრება არ შეიძლება?

მ ა ნ უ ჩ ა. ცხადია. წესი ზიარებისა, ცოდვის გამხელისა და სხვა მისთანა მესამე გვამს არ ისწრებს, აგრე ინება უფალმა ქრისტემ და მშობელმა ღვთისამ წმიდა მარიამმა. ამინ... (ჯ ე მ ა ლ ი გადის.) როგორ გრძნობ თავს, შვილო ჩემო?

მ ა ი ა. ძალიან კარგად.

მ ა ნ უ ჩ ა. ყოჩაღ, შენს ბიჭობას, გულადო.... შვილო ჩემო, უთხარ შენს მამას წუხილი შენი სულისა.

მ ა ი ა (თავისთვის). ლოცვის წესიც კი არ სცოდნია... ერეკლე მეფე რომელ მხარეს წავიდა, მამაო?

მ ა ნ უ ჩ ა. ყიზილბაშთ ჯილაგი თავს დაგვესხა... (გისოსში გაიხედავს.) იდიდოს ლაშქარი თავისუფლებისა ჩვენი. ამინ!

მ ა ი ა. დღეგრძელი იყოს...

მანუჩამ ანაფორა გადაიწია, ჯაჭვის პერანგი, ხმალი და ხანჯალი გამოუჩნდა, დამბაჩა გამოაძრო.

მ ა ნ უ ჩ ა (გისოსში გაიხედა). ემთხვიე.

მაია დაიხარა, ჯვრის მაგიერ დამბაჩა დახვდა. მღვდელს გაოცებული შეაცქერდა.

მ ა ი ა. მამაო!

მ ა ნ უ ჩ ა. ფუი... (დამბაჩა სასწრაფოდ ქამარში ჩაიკრა, აკრული წვერი თავის კორტოხზე მოიქცია.) მათე!

მ ა ი ა. მანუჩა?!

მ ა ნ უ ჩ ა (მთელი ძალებით). სარკინეთელმა სამაგიეროს გადახდა იცის; შენ ტყეეობიდან მიხსენი, მათეე, ჯერ მანუჩა მოკვდება, ვიდრე შენ მსხვერპლი გაგხადოს.

მ ა ი ა. მეფე ჩემ სიმართლეს კი გაიგებდა.

მ ა ნ უ ჩ ა. ჯერ თავს მოგჭრიდა, მერე სიმართლეს შეიტყობდა, ასე არ გვინდა. ერეკლეს ბრძოლის ველზე დავუმტკიცოთ, რომ მართალი ხარ.

მ ა ი ა. ჩვენი ბიჭები სად არიან?

მ ა ნ უ ჩ ა. გელოდებიან.

მ ა ი ა. წვერი აიკარ, თავს დაიხურე.

მ ა ნ უ ჩ ა (წვერი აიკრა, მტრი დაიხურა). ჯემალი გუშაგობს, რაა საშიში?

მ ა ი ა. ჯემალი მეფეს არ უღალატებს.

მ ა ნ უ ჩ ა. განა ჩვენ კი ვღალატობთ?

მ ა ი ა. არა-მეთქი... როგორ მოახერხე, როგორ გამიყვან?

მ ა ნ უ ჩ ა. მაჩაბლის თეატრში შევძვერი — იმ დარბაზში, თეატრის ტანსაცმელი რომ აწყვია, ეს ანაფორა მომეწონა, ყველაზე გრძელი თმა და წვერი იქ შევარჩიე.

მ ა ი ა. როგორ გამიყვან?

მ ა ნ უ ჩ ა. განა ჩემთვის ვიზრუნე, შენთვის ქალის კაბა და თავსახური საგულდაგულოდ გამოვარჩიე. (კაბა და თავსახური ანაფორიდან გამოაძრო, მაიას მიაწოდა.) ჰოდა, ჩქარა ჩაიცვი.

მ ა ი ა, მანუჩა, ქალის კაბა რა საკადრისია.

მ ა ნ უ ჩ ა. მამაკაცის ტანსაცმელში გიცნობენ.

მ ა ი ა. კარგად გიფიქრია... (კაბა გაშალა.) მონაზვნის კაბა?

მ ა ნ უ ჩ ა. ჩქარა, ჩაიცვი.

მ ა ი ა. მონაზვნები დილეგში რომ არ შედიან? (კაბა მიუგდო.)

მ ა ნ უ ჩ ა. ეზოს დარაჯებმა საიდან იციან მონაზვნის წესი, ჩქარა ჩაიცვი. (კაბა დაუბრუნა.)

მ ა ი ა. იქით შებრუნდი. (ზედა ტანსაცმლის გახდა იფიქრა.)

მ ა ნ უ ჩ ა. შევბრუნდე კი არა, მეც დაგეხმარები... (მკერდის არეში შეეხო, რომ გახდაში დახმარებოდა.)

მ ა ი ა (მანუჩას ხელი ჩააშვებინა). შებრუნდი-მეთქი!.. გისოსში იცქირე, არ შემოგვესწრონ.

მ ა ნ უ ჩ ა. ეგეც კი არის... (გისოსში იცქირება, თვალყურს ადევნებს.) კაი მღვდელს ვგავარ, ხომ ვერ მიცანი?..

მ ა ი ა. კარგი სახიობი ხარ. (ქალის კაბა თავზე ეფარება, ნახევრად ჩაცმული.)

მ ა ნ უ ჩ ა. ომი რომ დამთავრდება, მაჩაბელს ვთხოვ...

(შემობრუნდა, მაიას ქალურ აღნაგობას საეჭვოდ დააკვირდა.)

მ ა ი ა. რას სთხოვ მაჩაბელს?

მ ა ნ უ ჩ ა. სახიობთა დასში ჩამრიცხოს.

მ ა ი ა. აჰა. (გახდილი ჩოხა მიუგდო. მანუჩამ ჩოხა ანაფორის ქვეშ დამალა.)

მ ა ნ უ ჩ ა. შარვალიც გაიხადე.

მ ა ი ა. რა საჭიროა, ზევით ავიკეც... იქით იცქირე.

მანუჩა გისოსში იცქირება.

მ ა ნ უ ჩ ა (მაიას თვალს ვერ აცილებს). ქალის კაბაში ნამდვილი ქალია. დედას ვფიცავ, დედაკაცია...

მ ა ი ა. რაო, რა მითხარი?

Scanned with CamScanner

მ ა ნ უ ჩ ა. არა მითქვამს რა. (მაიას სილამაზით მოხიბლული.) წმინდა გიორგის ვფიცავ, ქალია, ქალი კი არა, ანგელოზია.

მ ა ი ა (თავსართავი გაისწორა). აბა, შემხედე, ვგავარ მონაზონს?

მ ა ნ უ ჩ ა (აფორიაქებული). მონაზონს?.. დედოფალი ხარ!..

მ ა ი ა. ჩუმად!

მ ა ნ უ ჩ ა. ბიჭის კაბაშიაც რომ მშვენიერი ხარ...

მ ა ი ა. ბიჭის კაბაში — ბიჭი მშვენიერი იქნება, მაშ როგორ? წავიდეთ!

მ ა ნ უ ჩ ა. წავიდეთ. გინდა აქ დავრჩეთ...

მ ა ი ა. რაებს მიჰქარავ?!

მ ა ნ უ ჩ ა (აფორიაქებული). ვიხუმრე... აქ კი არა, ცხრა მთის იქით!

მ ა ი ა. ერეკლესთან!

მ ა ნ უ ჩ ა. სადაც კი მეტყვი.

შემოდის ჯ ე მ ა ლ ი.

ჯ ე მ ა ლ ი. მამაო, თუ შეიძლება? (მონაზვნის კაბაში მაია დაინახა.) დედავ!.. ამას რას ვხედავ, მათე!

მ ა ნ უ ჩ ა (ჯემალს). შვილო ჩემო, იყო და აღარ არის მათე. ღმერთმა შეაჩვენა, ვაქკაცი დედაკაცად გარდაქმნა.

ჯ ე მ ა ლ ი. ჯო, აღარ ვიცი ვინ დავიფიცო, ქრისტე ღმერთი თუ ბუჰამედი. ხუცესო, შენ ჯემალას ატყუებ, დედას ვფიცავ, ოინებს აწყობთ. ხუცესო, ხელები მაღლა!..

(თოფი დაუმიზნა, მაიამ და მანუჩამ ხელები ასწიეს.)

მ ა ი ა. ჯემალავ, რომელი ღმერთი გწამს ის დაიფიცე, რომ გაჩუმდები.

ჯ ე მ ა ლ ი. რომელი ღმერთი? არც ერთი ღმერთი აღარ მწამს.

მ ა ნ უ ჩ ა. შეჩვენებულო... (თოფს ლულაზე ხელი ჩაავლეს, თოფი წაართვეს.)

ჯ ე მ ა ლ ი. შეჩვენებული იმით ვარ, რომ ერეკლეს ვღალატობ...

მ ა ი ა. არა, შენ ერეკლეს არ ღალატობ, ჩვენ და ერეკლეს ერთი საქმე გვაქვს... (მანუჩას.) შეკარი!..

მ ა ნ უ ჩ ა (ანაფორის ჯიბიდან თოკს გამოაძრობს). ხელები მომე, შვილო ჩემო.

ჯ ე მ ა ლ ი (განცვიფრებული). მე უნდა შემკრათ?! (მაიას.) შენს რაზმში ვარ, მათე...

მ ა ი ა. ვითომ შეგკარით, ვითომ. (მანუჩას ეხმარება.) ტახტზე დაგაჯრავთ, ვითომ შეკრული ხარ.

ჯ ე მ ა ლ ი. მათე, თქვენთან წამოვალ, საქმე აღარ მაქვს, ოსმალეები მეფის ბრძანებით გამაშვებინეს, აქ რა ვაკეთო.

მ ა ი ა. ასე სჯობია (ჯემალი ტახტზე დააყრეს.) როცა დარწმუნდები, ჩვენ გალავნის გარეთ ვართ, ყვირილი მორთე... გესმის, ჯერ არ იყვიროო. ჩემს რაზმში ხარ, საქმეს აკეთებ. (მ ა ი ა გადის.)

მ ა ნ უ ჩ ა. ჩვენ კვლავ შევხვდებით, შვილო ჩემო... (ჯემალს სახე აჩვენა.)

ჯ ე მ ა ლ ი (გაოცებული). ჯო, მანუჩა!..

მ ა ნ უ ჩ ა მ მათე ბიჭის ტანსაცმელი დაყარა, სწრაფად გადის. მცირე პაუზა. ჯო, სანამ ვიყო ასე დაბმული, ძაღლი ხომ არ ვარ? მეც მოვდივარ!.. მათე, ერეკლესთან მოვდივარ!.. (ხელები გაითავისუფლა.) ამფერ წვალებას ერთხელ მოვკვდები, ჯო!

სინათლე ქრება.

ს უ ბ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ერეკლე მეფის სასახლე თბილისში.
სცენაზე არიან ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი და ბ ა რ ა თ ა.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ბარათა, როგორ მოახერხე მეფის ლაშქრისაგან განრიდება?

ბ ა რ ა თ ა. ავადმყოფობა მოვიმიზეზე.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. კარგია... თავადო, ამ საქმეში ქაიხოსრო დიღმელი გამოგვადგება, მკლავის ძალა აქვს, არ ეპუება.

ბ ა რ ა თ ა. აჰა, სწორედ აქ მოდის.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ვხედავ... (შემოდის ქ ა ი ხ ო ს რ ო, კაცურად ჩაცმული.) თავადო, სახლთუხუცესს ერთი დღით ადრე გამოვაშვებინე შენი თავი. ესეც საქმეა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ერთ დღეს სამუდამოდ დაგიმადლებდი, დიდო თავადო, იმ მათე ბიჭს რომ მიჩვენებდეთ დილეგში გდებულს.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. თავადო, ყოველი წამი საუკუნეა, მათე რად გინდა?

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ამ ჩემი ხანჯლით ჩავკლავდი, მაინც ხომ სასიკვდილოდ გაამზადა მართლმსაჯულებამ, გულს ვიოხებდი.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მეფემ თვითონ მოკლას მისი გლეხუჯა. ასე უფრო სასაცილოა.

შ ე რ მ ა დ ი ნ ი გამოჩნდა, მიიმალება.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ამილახვარო, სიცილი დამავიწყდა უკვე ერთი თვე არის.

Scanned with CamScanner

ამილახვარი (მკაცრად). თავადო, დიდ საქმეს ივიწყებთ, მდაბალ შურს აჰყოლიხართ.

ქაიხოსრო (მორჩილად). თქვენს ბრძანებას ველი.

ამილახვარი (სიმღერას ყურს მიუგდებს). აი, ხომ გესმით... ერეკლეს სასახლეში ყველა ერის კაცი მღერის... ჩვენ გვაწამებს თორემ ტყვესთან კაცია; ურჯულო თათრებს სიტყვა ჩამოართვა, გაათავისუფლა — ვისაც რა შეგეძლოთ, პატიოსნად იმუშავეთო.

ბარათა. თავადიშვილი ახორში ცხენებსა წმენდდა...

ქაიხოსრო. ოი, ამ შერცხვენას თვით ქრისტე ღმერთსაც არ უპატიებ.

გუგუნა გამოჩნდა, უსმენს, მიიმალება.

ამილახვარი. ანგარიშის გასწორების ჟამია, სწორედ.

ქაიხოსრო. ოღონდ გვიბრძანე.

ამილახვარი (განსაკუთრებული სიფრთხილით). ბაქარის ძე მატყობინებს: დიდი ირანის ელჩი ქალაქიდან გაიყვანეთო, ირანის ლომს ცნობა არა აქვს, ერეკლეს ლაშქარი თუ რის შემძლეა.

შერმადინი (წამით გამოჩნდა). ელჩი... (მიიმალა).

ამილახვარი. რაო, ელჩიო, რომელმა თქვით?

ქაიხოსრო. არა გვითქვამს რა, თქვენ გისმენთ.

ამილახვარი. ელჩს გადაეცით, რომ ერეკლეს ლაშქარს ექვსი მეზარბაზნე ჰყავს, ოცდათოთხმეტი ზარბაზანი მტრის გულსაკლავად გამოაფინა. ექვსი მეზარბაზნე ექვს ზარბაზანს აამოქმედებს, ირანის ლომი ნუ შეშინდება.

ქაიხოსრო. მხოლოდ ექვსი?

ამილახვარი. მხოლოდ ექვსი, დანარჩენები წინა ომში დაუწყდა და ასოცამდე ფალკონეტი აქვს; ამ იარაღით ირანის ლომთან ბრძოლის შედეგს, თავადიშვილნო, მგონი თვითონაც ხედავთ. (იცინის.)

ბარათა. დიახ თავადო, ვხედავთ, სიამით ვხედავთ კახის დასასრულს.

ქაიხოსრო (გახარებული). აქამდე სად იყავით, ეს კარგი ცნობა ერეკლეს მტერს რად ვერ მიაწვდინეთ?

ამილახვარი. მათე ყაჩაღმა რომ გუბაზი მოკლა, უსტარი გაამხილა, კავშირის დამყარება ხიფათს შეგვყრიდა. ახლა ომია, ერეკლეს თვალი ბრძოლის ველზე უჭირავს. აქაურობა მე ჩამაბარა, უთვალყურეო.

ქაიხოსრო. შენ გაიხარე, ამილახვარო.

ამილახვარი. ამ ომის შემდეგ ერეკლეს ნაცვლად ბაქარის ძეს გავამეფებთ, ყმა და მამული ჩვენი იქნება.

ქაიხოსრო. უფალო, შენ გადმოგვხედე!

ამილახვარი. ფრთხილად იყავით, ომის ბედი თქვენზე ჰკიდია... ლილოს გზა შორეა, ტაბახმელის გზით მოუვლით. ფრთხილად... არ დაგვიწყდეთ: ექვსი მეზარბაზნე ჰყავს, ოცდათოთხმეტი ზარბაზანი უქმად ყრია.

ბარათა. ყველა გვახსოვს, თავადო.

ამილახვარი (ხმადაბლა მოწოდების კილოზე). ბაქარის ძეს გაუმარჯოს.

ქაიხოსრო. ამინ...

ბარათა. გამარჯვებამდე, ნახვამდის.

ამილახვარი. კარებამდე გაგყვებით. გული და აზრი გამარჯვებას მეუბნებიან.

ყველანი გადიან, შერმადინი და გუგუნა შემოდიან.

შერმადინი. გუგუნა, თუ გაიგონე?

გუგუნა. ყველა ვისმინე, ჩემო შერმადინ, ბუდეს მივაგენ, როგორ მოვიქცეთ?

შერმადინი. მანუჩა რომ აგვიანებს?

გუგუნა. ჩვენით წავიდეთ, ტაბახმელის გზით, დაყოვნება არ შეიძლება.

შერმადინი. მოიცა, მარტო ძნელია.

გუგუნა. ჩემო შერმადინ, ბიჭო, შევაკვდეთ, ამ ომის ბედი ჩვენზე ჰკიდია.

შერმადინი. აჰა ისიც... (მანუჩა და მაია შემოდიან.) მანუჩა!

გუგუნა. მათე!..

მანუჩა. შვილნო ჩემნო, ღვთის მსახურთ წესისამებრ უნდა მიგართოთ.

მაია. რამ შეგაშფოთათ, ჩემო შვილებო?

გუგუნა (ჩაიმუხლებს). მამაო და დედაო, ბუდე აღმოვაჩინეთ.

მაია. რომელი ჩიტის ბუდე, ჩემო შვილებო?

შერმადინი. შეთქმული თავადები. ბარათა და ქაიხოსრო დიღმელი ამილახვრის ბრძანებით ირანის ელჩთან გაიქცნენ, ჩვენი ლაშქრის სუსტი მხარე უნდა აცნობონ. მტრის ელჩის გაპარება ნაბრძანები აქვთ.

მანუჩა (აენთება). ბიჭებო, თქვენი ჭირიმე!

მაია (მანუჩას). მშვიდად მამაო, არ გეკადრებათ... (შერმადინს.) რომელი გზით?

შერმადინი. ლილოს გზა შორეა, ტაბახმელის გზით მოუვლითო, ამილახვარმა ასე უბრძანა.

Scanned with CamScanner

მ ა ი ა. ახლავ გაფრინდით, ერთი თქვენთაგანი საელჩოს ჩაუსაფრ-
დება, დანარჩენები გზებზე ჩარიგდით, ერთმანეთთან კავშირი გქონ-
დეთ!

მ ა ნ უ ჩ ა. ტაბახმელაში ფრთხილად იყავით.

მ ა ი ა (ეპიკური სიმშვიდით). ჩემო შვილებო, ჩვენი ცხენები სად იქნე-
ბიან?

შ ე რ მ ა დ ი ნ ი. აბოს ნიშთან, ქარიყლაპია ცხენებით იცდის.

მ ა ი ა. ღმერთი იყოს თქვენი შემწე. ჩქარა, გაფრინდით!

შ ე რ მ ა დ ი ნ ი. მიეფრინავ, წმინდაო დედაო...

შ ე რ მ ა დ ი ნ ი და გ უ გ უ ნ ა გადიან. სცენაზეა მაია და მანუჩა.

მ ა ი ა. წმინდაო მამაო, დამბაჩა და ხმალი ჩემთვის თუ მოამზადე?

მ ა ნ უ ჩ ა. ანაფორის ქვეშ ყველა იარაღი თითო წყვილი მაქვს.

უნდა გავიდნენ, შემოდის ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (მანუჩას). იცოცხლე მამაო...

მ ა ნ უ ჩ ა (ხმას დაიდინჯებს). სიცოცხლე ომში წასულებს!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (მაიას დააკვირდება, შეჩერდება. თავისთვის). მეფის
კარზე მონაზონი, სულ აირია აქაურობა... სადღაც მინახავს... ჰოი,
ღმერთო, შენ დამიფარე, მათე ბიჭსა ჰგავს... (გასძახებს.) ხუცესო!..
ხუცესო!.. შენ გეუბნები.

მ ა ნ უ ჩ ა. რა გაგიჭირდა, შვილო ჩემო.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ეგ მონაზონი სადაურია?

მ ა ნ უ ჩ ა. ეგ მონაზონი... მონაზონია.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (გასძახებს). ჰეი, დარაჯო! შეიპყარით მათე ბიჭი
მონაზვნის კაბაში!..

ეზოს ორი მხრიდან თავჩაჩქნიანი დ ა რ ა ჯ ე ბ ი გამოდიან. მაიას შუბები მიუღირეს.

მ ა ი ა (ნაზი ხმით.) თავადო, ამ თავხედობას წმინდა დები შეაჩვენე-
ბენ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (შეშინებული). მათე ბიჭი ხარ, მე კარგად ვხედავ.

მ ა ი ა (ხელებს აღაპყრობს). ზეციერო, შენ გადმოხედე შენს გაუბე-
დურებულ ქვეყანას, ქრისტიანები სახეს კარგავენ, ქალი ბიჭად უჩანთ
ცოდვილთა თვალებს.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. დაამტკიცე რომ დედაკაცი ხარ. (უკან იხევს.)

მ ა ნ უ ჩ ა (ამილახვარს). ჰო, იქნებ მართალს ამბობ, მეფის სიმედო.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (მანუჩას). მათე ბიჭია!.. ხედავთ, როგორ კანკა-
ლებს, შიშმა მოიცვა, ძრწის.

მ ა ი ა. ვძრწი, შიშმა მომიცვა, რომ ღვთის უმანკო მსახურს ყაჩაღს
შამსგავსებ.

მ ა ნ უ ჩ ა (ვითომ უკვირს). წმინდაო გიორგი, შენ დამიფარე.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. თვალთმაქცობს, შეჰკარით-მეთქი.

დარაჯები წაიწევიან.

მ ა ი ა (დარაჯებს, დინჯად). შესდექით, ქრისტეს მონებო. თქვენი მე-
ფე ომში იბრძვის, თქვენთვის სისხლსა ღვრის და მის სანაცვლოდ
ღვთის წმინდა მსახურს აქიაქებთ, საჯაროდ არცხვენთ...
ვინც მეფესთან არ ხართ გადამწყვეტ ომში, ღმერთმა დაგსაჯათ, ქალი
კაცად გიჩანთ, გამოთაყვანდით.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. შეკარით-მეთქი!

დარაჯები მიიწევენ.

მ ა ი ა. ღმერთმა დაგსაჯათ, ჩემო ძმანნო და თქვენთან ერთად,
მეც ვიხჯები ღვთის უანგარო მსახური თქვენი. აჰა, დარწმუნდით!
(ხელგით დადგება.) აქ მობრძანდით თქვენც, თავადო. (დარაჯები და ამი-
ლახვარი მაიასთან შეჯგუფდებიან. ხელების მოძრაობიდან ჩანს, მაიამ გულის სა-
კინძე შეიხსნა.) დარწმუნდით?

დ ა რ ა ჯ ე ბ ი. ქალი ყოფილა!.. (დარცხვენილი დარაჯები თავიანთ
ადგილებს იჭერენ.)

მ ა ნ უ ჩ ა (გახარებული თავისთვის). აკი ვთქვი, ქალი კი არა, ანგე-
ლოზია...

მ ა ი ა. ჰოი, ბიწიერნო, რამდენი წყევლა და შეჩვენება მოგელით
წმინდა მონაზვნის წაწყმედისათვის, შეჩვენდით, შეჩვენდით უტი-
ფარი სახის ქრისტიანებო!.. (გადის.)

მ ა ნ უ ჩ ა (დარაჯებს და ამილახვარს). ღმერთმა შეგინდოთ ეგ თავ-
ხედობა. (სასწრაფოდ, გადის.)

დ ა რ ა ჯ ე ბ ი ამილახვარს ტოვებენ.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (სახტად დარჩება). ჰოი, ღმერთო დიდებულო, რა
დრო დაგვიდგა — მონაზონი ბიჭს დაემსგავსა. (ჯ ე მ ა ლ ი გამოჩნდება.)
ჰეი, დილეგის მცველო, საით გარბიხარ?

ჯ ე მ ა ლ ი (ამილახვარი ახლა შეეჩვია). ერეკლესთან, ომში მივდი-
ვარ!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მათე ყაჩაღი ხომ დილეგშია?

ჯ ე მ ა ლ ი. აბა, სად იქნება.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. დილეგის გასაღები მომეცი.

ჯ ე მ ა ლ ი. გასაღები ჩემია.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (მკაცრად). მომეცი-მეთქი!..

ჯ ე მ ა ლ ი. ჰა! (გასაღები გადაუგდო.) კარგად ჩაიჯიბე, იქნება იმ კლი-
ტის რახუნზე მოგიწიოს, ჯო, წყლის დალევა. (გარბის.)

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ეჰე, ხალხო, სასახლის კარი ყაჩაღებით აივსო!..

დ ა რ ა ჯ თ გ ა მ რ ი გ ე გამოჩნდება.

Scanned with CamScanner

დარაჯთგამრიგე. რაო, რას ბრძანებთ, დიდო თავადო?!.

ამილახვარი. სასახლის კარი ყაჩაღებით აივსო-მეთქი!

დარაჯთგამრიგე (უნებურად, სიფრთხილის ნიშნით). ხომ არ გაგიჟდით?!

ამილახვარი (აფთარივით შემობრუნდება). ამასაც მოვესწარ, ამილახვარი გიჟი ჰგონიათ... დილეგში შემიძეხ, მათე ბიჭი მაგრად დაკბეგოთ.

მოქმედება მეოთხე

სურათი მეშვიდე

მაღლობი, შორს თბილისის მიდამო მკრთალად მოჩანს. სცენაზეა გუგუნა და შერმადინი. ისინი მღერიან.

შერმადინი. თითს ბეჭედი, ხელს კალთა ალაზანმა წამყარაო, ჩემი-ცოდვა იმას ჰქონდეს, ვინაც შენს თავს გამყარაო..

გუგუნა. თეთრო ქალო, თეთრი კაბა თეთრად შეგიმშვენებია, ქალალდი-ვით ძუძუები გულზე დაგისვენებია.

შერმადინი. თვალათა გნახე, ქალაო, ამომავალი მზე ხარო, ნეტავი იმის-დედასა, ვისიც იღბალი შენ ხარო..

გუგუნა. თეთრი ქალი ბრინჯს არჩევდა, შავგვრემანი სამარხოსა, დამი-ტიროს თეთრმა ქალმა, შავგვრემანმა დამმარხოსა,..

შემოდის მაია.

მაია (სიმღერით).

ვერცხლის კალოს ნუ შემოხვალ, ფეხი აგიცურდებაო,
შემოგყვება სიყვარული, გასვლა გაგიჭირდებაო...

რად შეწყვიტეთ კარგი შაირი, სიმღერაში დრო იწურება.

შერმადინი. მათე, ნეტა იცოდე, რა ძალიან გიხდება მონაზ-ვნის კაბა.

გუგუნა. მათე, ქალი რომ ყოფილიყავ, შენს ბატონს ვერ გადა-ურჩებოდი.

იცინიან.

მაია. ჭკუას მოუხმე, შე ციყვო, შენა...

შერმადინი. გუგუნა მეუბნება: მათე ღმერთს დედაკაცად უფიქრია და ბიჭად კი დაბადებულაო.

გუგუნა. ლაშქრის საქმეში დედაკაცი თუ არაფრად ვარგა, მისი-კაბა ხომ გამოგვადგა?

Scanned with CamScanner

მ ა ი ა. დედაკაცი ფრთხილად ახსენე, დედაკაცი არ არის დედაშენი, ამოდენა ჩოყლაყი რომ გაგზარდა.

გ უ გ უ ნ ა. ქალთან როდი გამივლია, რომ ჩოყლაყს მეძახი.

მ ა ი ა. ერთს კი სწორს ამბობთ, ქალის კაბით ბრძოლაში ჩაბმა სათაკილოა.

შ ე რ მ ა დ ი ნ ი (სიამაყის გრძნობით მაიას). ქალის კაბაში თუ მათე ბიჭია — რაღას იტყვი?

მ ა ი ა (შორს გაიხედა, სიტყვა არ გაუგონა). ცისკარმა გამოანათა და მანც არა ჩანს.

შ ე რ მ ა დ ი ნ ი. გამოჩნდებიან, ქარიყლაპია არ შეცდება.

შემოდის მ ა ნ უ ჩ ა.

მ ა ნ უ ჩ ა. არავინ ჩანს, ბიჭებო, უთვალთვალეთ, თქვენი რიგია. ჩქარა...

გ უ გ უ ნ ა და შ ე რ მ ა დ ი ნ ი გადიან. სცენაზეა მაია და მანუჩა.

მ ა ი ა. ეს რა მიყავ?..

მ ა ნ უ ჩ ა. რა დაგიშავე, რისთვის მიწყრები?

მ ა ი ა. ქალის კაბით რომ ნახევარი ქვეყანა შემომატარე — ჩემი ტანსაცმელი რისთვის დააგდე?

მ ა ნ უ ჩ ა (აფორიაქებული). მათე, მათე-მეთქი!..

მ ა ი ა. რა მოგდის, ბიჭო?!

მ ა ნ უ ჩ ა. თავს მოვიკლავ!..

მ ა ი ა. რატომ, ბიჭო?

მ ა ნ უ ჩ ა. ამილახვარმა გულში ჩაგხედა. ირანის ელჩს რომ გადავურჩე, სულ ერთია, შენს ხანჯალს გულში დავიცემ.

მ ა ი ა. რათა ბიჭო, არ იტყვი?

მ ა ნ უ ჩ ა. ანგელოზი ხარ!..

მ ა ი ა (ვითომ გულგრილად). ხომ არ გაგიჟდი?

მ ა ნ უ ჩ ა. დედაკაცი ხარ!..

მ ა ი ა (არ მოელოდა). ოჰ!..

მ ა ნ უ ჩ ა. ხატი ხარ ზეციერი!

მ ა ი ა. რას მიედები, ბიჭო, უძილობამ ხომ არ დაგსუსხა?

მ ა ნ უ ჩ ა (მტკიცედ). დედაკაცი ხარ!

მ ა ი ა. ნუღა ყვირი მაინც... (გულწრფელად.) მანუჩა, მხოლოდ შენ იცი, რომ მათე ბიჭი საცოდავი დედაკაცია, ნურავის ეტყვი.

მ ა ნ უ ჩ ა. თვით მეფეს ვეტყვი.

მ ა ი ა (მკაცრად). მანუჩა!..

მ ა ნ უ ჩ ა. აბა, რა ვქნა, ადრევე ვთქვი, ბიჭი კი არა, ანგელოზია-მეთქი.

მ ა ი ა. მაინც რა გინდა?

მ ა ნ უ ჩ ა. შენი სახელი მითხარ, გევედრები.

მ ა ი ა. ამისათვის იკლავდი თავს? არ გეტყვი.

მ ა ნ უ ჩ ა. ბრძოლის წინ თავს მოვიკლავ.

მ ა ი ა. ძალიან კი ვინაღვლებ, შენისთანა ბიჭები კი წყდებიან.

მ ა ნ უ ჩ ა. რა დაგიძახო?

მ ა ი ა (მკაცრად). რა საკითხავია — მათე! სხვა სახელი შენ არ გჭირდება.

მ ა ნ უ ჩ ა (მუდარით). ერთხელ ვიტყვი შენს სახელს, მხოლოდ ერთხელ.

მ ა ი ა. მაია მქვია.

მ ა ნ უ ჩ ა. მაია!

მ ა ი ა. ჩუმად!

მ ა ნ უ ჩ ა. რა ვქნა, ვაი, რა ვქნა, რომ აღარ ვიცი.

მ ა ი ა. რა ცხელება გჭირს, აღარ იტყვი?

მ ა ნ უ ჩ ა. მიყვარხარ, გოგო!

მ ა ი ა. რას ამბობ, ბიჭო!

მ ა ნ უ ჩ ა. გინდ მომკალი, მაინც მიყვარხარ!

შემოდის შ ე რ მ ა დ ი ნ ი.

მ ა ი ა (მანუჩას). ხმა აღარ დასძრა... რაო, შერმადინ?

შ ე რ მ ა დ ი ნ ი. ვიღაც ცხენს მოაგელვებს...

მ ა ნ უ ჩ ა (შორს გაიხედავს). ქარიყლაპია!..

გ უ გ უ ნ ა. არა, ის არ არის.

მ ა ი ა (შორს იცქირება). უცხოა...

მ ა ნ უ ჩ ა. წინ მზვერავი თუ გამოგზავნეს.

მ ა ი ა. ბიჭებო, სადა ხართ?

ყ ვ ე ლ ა ნ ი. აქ ვართ. (კიდევ ო რ ი ბ ი ჭ ი შემოემატა, მაიას რაზმელები.)

მ ა ი ა. გუგუნა, ჩემთან დარჩები. შერმადინ, შენ მარჯვნივ ჩასაფრდი. ბრძოლას ჩვენ ვიწყებთ, ჩემო მანუჩა! (სხვებს.) ჩემი დამბაჩის ხმაზე თოფებს გაისვრით. ყიჟინას მორთავთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი. გვესმის მათე.

მ ა ი ა. კიდევ ერთი: ნიშანში არც ერთი სროლა, მთავარია ცოცხლად ჩაგვბარდნენ. თუ გაჭირდა, სამიზნოდ დამბაჩებს შემოინახავთ.

შ ე რ მ ა დ ი ნ ი. ავრე იქნება!

მ ა ი ა. თუნდა ყველანი გავწყდეთ, არც ერთი მათგანი მტრის ბანაკში არ უნდა გაძვრეს. ერეკლეს ბრძოლა და გამარჯვება ჩვენზე ჰკიდია.

Scanned with CamScanner

ხ მ ე ბ ი. აგრე იქნება!
მ ა ი ა. ჩუმად... ადგილებზე ხოხვით, ბუჩქს მიეფარეთ!

გადიან. სცენაზეა მაია, მანუჩა და გუგუნა.

ამ ანაფორას აღარ გაიძრობ?
მ ა ნ უ ჩ ა. ისინი მღვდელს არ მოერიდებიან, არც მონაზონზე შეფიქრდებიან, სიტყვა თუ გავაბი, ერთ-ორს კი მოვაყუჩებ, უსისხლოდ ჯობს... გუგუნა, გვერდზე გადექი, ღრმად ჩასაფრდი. კოტრიალი რომ შეიქნება, მერე გამოჩნდი.
გ უ გ უ ნ ა. კაი კოტრიალია. (მიიმალება.)
მ ა ნ უ ჩ ა. კარგია, მაშ! ქაიხოსროს ულვაშებში ხელის ჩავლება ნახევარი სიცოცხლეა... ბიჭებო, ერთი ფანდური მაინც გვქონდეს, ფანდურით ბრძოლა რიგიანია. ერეკლე მეფეს საიათნოვა ამისთვის უყვარს... (მღერის.)

კურდღელმა თქვა ჩირგვში ვზივარ,
ვერენ მოვა ჩემზედაო,
გავიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო.

გ უ გ უ ნ ა (აჩქარებული). რის ბატონი? ბატონი კი არა — ბიჭებო, ხედავთ, ცხენს ჯემალი მოაჭენებს...
მ ა ი ა. ჯემალი!

შემოდის შ ე რ მ ა დ ი ნ ი.

შ ე რ მ ა დ ი ნ ი. მათე, ჯემალი!..
მ ა ნ უ ჩ ა. საიდან სადაო?.. როგორ მოგვაგნო!
მ ა ი ა. ჩვენ დაგვეძებს, აქ დაუძახეთ.
მ ა ნ უ ჩ ა. ეჰეე, ჯემალავ!..

ჯემალი: ეჰეე!..

გ უ გ უ ნ ა. აქეთ, მაღლა ამოდი!

გამოჩნდება ჯ ე მ ა ლ ი.

ჯ ე მ ა ლ ი. სადა ხართ, ჯო!..
მ ა ი ა. ჯემალავ!..
ჯ ე მ ა ლ ი (დაღლილი, ქოშინებს). ბიჭებო, ჩქარა...
მ ა ი ა. ჯემალავ, აქ ვინ მოგასწავლა?..
ჯ ე მ ა ლ ი. ქარიყლაპიამ. ირანის ელჩი და ერეკლეს მტრები ლილოს გზით წავიდნენ. ტაბახმელას გვერდი უქციეს.
მ ა ი ა. მოვტყუებულვართ!
ჯ ე მ ა ლ ი. ქარიყლაპიამ შემოგითვალათ: ჩქარაო, თავს თუ არ დაზოგავთ, ლილოს გზით მივასწრებთო.

შ ე რ მ ა დ ი ნ ი. ჩემი ყურით გავიგონე, ამილახვარმა რომ თქვა: ლილოს გზა შორია, ტაბახმელის გზით მოუვლითო.
ჯ ე მ ა ლ ი. თქვეს, მაგრამ შორი გზით შინ მშვიდობით მისვლა არჩიეს. ჯო, ქარიყლაპიამ, იჩქარეთო, ცხენები არ დაზოგოთო, მარქაფა ცხენებე ნორიოს აღმართზე დაგხვდებათ, ბიჭს დაუტოვა, ჩქარა!..
მ ა ი ა. გახსოვთ, ერეკლეს რომ ვუთხარი, თქვენი სახელით, ჩვენი ბიჭები არწივის ფრთებს გამოისხამენ-მეთქი!..
შ ე რ მ ა დ ი ნ ი. გვახსოვს...
მ ა ი ა. ჰოდა, ეგ არის, ჩემო არწივებო, უნდა გავფრინდეთ, მტერს ყიზილბაშთა სარდლობის ბანაკამდე უნდა შევდიოთ. სიკვდილი ან გამარჯვება! ჩვენთვის სხვა სიტყვა აღარ არსებობს.
ყ ვ ე ლ ა ნ ი. ამინ!..
ჯ ე მ ა ლ ი. ჩქარა, ჯო!..
მ ა ნ უ ჩ ა. ჯემალავ, ხომ გაგიგონია — კურდღელმა თქვა... (სხვა ჯილოზე.) დედას ვუტირებ იმ ძაღლიშვილებს...
მ ა ი ა. ცხენებზე!.. (გადის.)
ჯ ე მ ა ლ ი. ჯო, რა თქვა კურდღელმა?.. (გარბიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

მტრედისფერ ცის ქვეშ ქართველთა ლაშქრის რამდენიმე ზარბაზანი ველს გადაჰყურებს. მაღლობზე ე რ ე კ ლ ე ზის, მოუღლელი თვალით სივრცეს გასცქერის. მოშორებით ს ა რ დ ლ ე ბ ი დგანან.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. სიფრთხილე გვმართებს, მეორე დღეა უმოქმედოთ დგას, ბრძოლას არ იწყებს.
ს ა რ დ ა ლ ი. არაქსის გაღმიდან შემოჭრილი აგრერიგად რამ გაარინდა, მიკვირს, სპასალარო.
ს პ ა ს ა ლ ა რ ი. აბა, რა გითხრათ. მტრის ფანდები წინასწარ ძნელი ასახსნელია.
ე რ ე კ ლ ე. სპასალარო, ბრძოლა უსისხლოდ მთავრდება ვგონებ. უსისხლო ბრძოლა ყველა ბრძოლაზე დიდი მონაგარია.
ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ამის მიზეზად რას ფიქრობთ, მეფევ ბატონო.
ე რ ე კ ლ ე. ზარბაზნებმა დაფრთხო მტერი, ჩვენი ზარბაზანი სჯობია მტრისას, ისე დაქუხა, რომ ყიზილბაშს ბრძოლის წყურვილი გაუნელა — დაილოცოს მისი გამჭედი.
ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ჩემო მეფევ, ვშიშობ, მაშველ ჯარს თუ ელოდებიან.
ე რ ე კ ლ ე. ტყუილი შიშია, ჩემი ცნობით, მაშველი ჯარი ყიზილბაშს არა ჰყავს, მთელი ძალებით შემოჭრილია.

ისმის ბუკის ხმა. შემოდის მ ხ ე დ ა რ ი.

Scanned with CamScanner

მ ხ ე დ ა რ ი. დიდო მეფევ, ყიზილბაშთ მხედრობის მარცხენა ფრთამ პირი იბრუნა. სახლში მიდიან.

ე რ ე კ ლ ე. ზარბაზანთ სიმრავლემ შეაშინა ურჯულოთ ხანი — არ მოელოდა.

შემოდის სხვა მ ხ ე დ ა რ ი, პ ი რ ვ ე ლ ი გადის.

მ ხ ე დ ა რ ი. დიდო მეფევ, ყიზილბაშთა მხედრობის მარჯვენა ფრთამ კარვები აშალა, პირი იბრუნა. (გადის.)

ს პ ა ს ა ლ ა რ ი (შორს იცქირება). მიდიან.

ე რ ე კ ლ ე. სპასალარო, ბეწვის ხიდზე გავდივართ.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ამას რად ბრძანებთ, დიდო მეფევ.

ე რ ე კ ლ ე (სიფრთხილით მიიხედავს, არავინ მისმენდესო). როგორ თუ რად, ჩვენი ორმოცი ზარბაზანი გადაჰყურებს ურჯულოთ ლაშქარს. ზარბაზნებით მტერს დიდად ვჭარბობთ... (ნაღვლიანად.) მაგრამ რა იცის ამავე მტერმა, რომ ერეკლეს ექვსი მეზარბაზნე ჰყავს, ზღვა ლაშქართან ხუთი ათასით ბრძოლა გაჭირდებოდა, მტრის ათას ფალკონეტს ჩვენი ასოცი ფალკონეტი რას დააკლებდა.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. დიდო მეფევ, რაღა აკლდა, ასე არ იყო აზატ ხანთან, ბრწყინვალე ბრძოლა თქვენ რომ დაგრჩათ?

ე რ ე კ ლ ე. ის სხვა იყო, ერეკლე მაშინ, სპასალარო, ჭაბუკი იყო, ომს სიჭაბუკე დიდად შველის... მაკედონელი სამოცი წლისა რომ ყოფილიყო, ინდოეთზე გალაშქრებას ვერ გაბედავდა... (მხნედ.) სპასალარო, ვინ თქვა სიბერე, ერეკლე მრავალჟამიერ კიდევ იბრძოლებს.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. მეფევ. კარგ სიჭაბუკეს კარგი სიბერე ახლავს,

ე რ ე კ ლ ე. კარგი ის არის — ბრძოლა უსისხლოდ მთავრდება... სპასალარო, ფრთები ხომ კარგად შეკრული არის?

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. დიახ, მეფევ, საიმედოდ შეკრული არის.

ე რ ე კ ლ ე. საკმარისია ერთი კაციც კი ამ ჩვენს ლაშქარში ქართველთ მოღალატე აღმოჩნდეს, მტერი ჩვენკენ შემობრუნდება.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ყველა გამცემს არც დაუჯერებს, ხაფანგს გვიგებსო, ყიზილბაშმა სიფრთხილე იცის.

ე რ ე კ ლ ე (მკვახედ). თავადიშვილს უჯერებს ყიზილბაში.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი (სხვა ტონით). თავადებზე მეჭიროს თვალი?

ე რ ე კ ლ ე (სპასალარს მიუხვდა განაწყენებას). სპასალარო, აბა, მითხარი ერთი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, რომ გლეხს გაეცეს, უღალატოს მისი ქვეყნისთვის.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. არ მახსოვს, მეფევ.

ე რ ე კ ლ ე. რაც არ არის, რას გაიხსენებ... ამას რომ ვიტყვი, ჩემი

ერთგული თავადებიც წარბსა იკრავენ, არ მოსწონთ ჭეშმარიტი ეგ შედარება.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი (ცმაყოფილებით, რომ მოაგონდა). მეფევ ბატონო, ამასწინანდელმა ერთმა შემთხვევამ სულ გაასწორა აქამდელი ერთგულება ყველა გლეხისა.

ე რ ე კ ლ ე. რა შემთხვევას ამბობთ?

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. მეფევ, უთვისტომო ვიღაც ნაყმევი მეფის კარს რომ დაუახლოვეთ, ის ნაყმევი ჯაშუშობით ისეთ მზაკვრობას ამზადებდა, ას თავადს ერთად არ ჩაუდენია... სასახლის კარზე მკვლელობა რომ ჩაიდინა...

ე რ ე კ ლ ე (მოიღრუბლება). მისი სახელი მათე ბიჭია.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი. დიახ, მეფევ, მისი სახელის ხსენებაც კი მეზარება.

მ ე ო მ ა რ ი (შემოდის). ამილახვარი!..

შემოდის ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (შეშფოთებული). დიდო მეფევ, ჩვენო მფარველო და მოამაგევ, ჩვენ ყველანი განსაცდელის წინაშე ვდგავართ.

ე რ ე კ ლ ე (ადგება). რაო, რა მოხდა?!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. მათე ბიჭი დილეგიდან გაგვექცა, მოღალატე, ჯაშუში მათე. არაქსის გაღმა რომ გარბოდა, ახლა უთუოდ თავის პატრონს მიაშურებს, დიდ ხიფათს შეგვყრის; მან კარგად იცის, რომ ერეკლეს ლაშქარს ექვსი მეზარბაზნე ჰყავს და ოცდათოთხმეტი ზარბაზანი უქმად დგას. ეს თუ აცნობა, ყიზილბაშთა აყრილი ჯარი უკანვე წამოიშლება, ზღვა ლაშქარი აგვაოხრებს, ქალაქს დაანგრევს, სისხლის ნიაღვარს დააყენებს ურჯულოთ ხანი. დიდო მეფევ, ჩქარა მდევრები, ყველა გზები სასწრაფოდ უნდა შეიკრას.

ე რ ე კ ლ ე. როდის გაგექცათ?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. გუშინ დასამხრეებაზე.

ე რ ე კ ლ ე. დღეს საღამომდე სადღა იყავით?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. ჩემი მდევრები დავგზავნე. მათ დაბრუნებას ველოდი გუშინ, დღეს დილიდან თქვენთან ვესწრაფვი.

ე რ ე კ ლ ე. მერე?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. არც მდევრები ჩანს, არც ის ყაჩაღი ბიჭი.

ე რ ე კ ლ ე (სპასალარს). მათე ბიჭის რაზმი ჩემს ლაშქარს თუ ახლავს თან?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი. არა, მეფეო, ის ბიჭებიც მასთან გაიქცნენ... რჯულგამოცვლილს, აჭარელს ენდეთ...

ე რ ე კ ლ ე (მკაცრად). ამილახვარო!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (ორად მოიკეცება). მომიტევეთ, მეფევ ბატონო,

Scanned with CamScanner

დილეგის კარი იმ აჭარელმა გაუღო ყაჩაღს. ეს გასაღები მესროლა და შემაძახა: ამილახვარო, ივ კლიტის რახუნზე მოგიწევს წყლის დალევაო.

ერეკლე. ეს რაღას ნიშნავს, როგორ ახსენი?

ამილახვარი. მეფის კარის ასაკლებად მოგზავნილი ყაჩაღები არიან... მადლობა უფალს, დიდო მეფევ, რომ გადაურჩით... (პირჯვარი გადაისახა ცბიერად.) იმ ყაჩაღს, თქვენს დარბაზში შესვლა ნებადართული ჰქონდა.

ერეკლე. ამილახვარო, ის ბიჭი ზოგმა თავადმა ადრევე შეიძულეთ, მაგრამ დღევანდელ ამ ჭეშმარიტებას ვიღა აუვა... სპასალარო, ოთხივ მხრივ გზები შეკარით, მდევარი ჩქარა, მტრის ლაშქრამდე არ მიუშვათ. თუ არ დაგნებდათ, იქვე მოკალით. ცოცხალს მართლმსაჯულების ყველა სიმკაცრე თავს დაატეხეთ, ასეთია მეფის დასტური!

სპასალარი. მესმის, მეფეო. (სპასალარი და სხვა ორი მხედარი, რომლებიც ამილახვარს შემოჰყვნენ, გასვლას დააპირებენ. ამ დროს გაისმის მაიას ხმა.)

მაია (შორიდან). გამიშვით, მეფესთან გამიშვით, მეფე ერეკლე!

ისმის ხმაური, ჩოჩქოლი, წინააღმდეგობა, მაიას არ უშვებენ.

ერეკლე. რა ხმაურია, იქ რას სჩადიან?..

შემოდის მეომარი.

მხედარი. დიდო მეფევ, ვიღაც დედაკაცი თქვეთან მოსვლას ესწრაფვის, ამალა ახლავს, მათე ბიჭი ვარო, ასე იძახის.

ამილახვარი (ნირწამხდარი). მათე ბიჭიო?

ერეკლე. ამილახვარო, მათე ბიჭი თვითონ მოვიდა... (მხედარს.) აქ მოიყვანეთ...

ვიდრე მხედარი გავიდოდეს, მაია შემოვარდება, მონაზვნის კაბა მუხლებამდე უკეცია, სახელოები დაკაპიწებული აქვს, ჩექმა აცვია, შეიარაღებულია.

ამილახვარი. ღმერთო ამას რას ვხედავ, ის მონაზონი!

მაია. მეფე ერეკლე!..

ერეკლე. ვინ ხარ, დედაკაცო?!

მაია. განა ვერ მცნობ, ჩემო მეფევ, თქვენი მათე ვარ...

ერეკლე (მკაცრად). ქვეყნის და მეფის მოღალატეო, ასე ამბობენ.

მაია. არა, მეფევ, მოღალატე თქვენს პირისპირ დგას — ამილახვარი! ნება დამრთეთ დანარჩენებიც აქ მოგიყვანოთ.

ამილახვარი დაბნეულ იძრობს, მას მეომრები შეაჩერებენ.

ერეკლე. შემოიყვანეთ!

მხედარი გადის.

მაია. ჩემი რაზმიც თან მოიყვანეთ.

ერეკლე. ყველანი ერთად შემოიყვანეთ!

შემოდიან ირანის ელჩი, ბარათა, ქაიხოსრო ნაბდებჩამოფარებული, გათოკილები. მათ მაიას რაზმი მოჰყვება.

მანუჩა. გაალაჯეთ, რა დროს სიმორცხვეა, მიდი!..

ქარიყლაპია (ქაიხოსროს). ნუ კრუსუნებ!

ჯემალი (ელჩს). შენ გელაპარაკები, სულს ამოგაშპობ.

მაია (თავისიანებს). წყნარად, თქვე ქეციანებო, მეფეს ვერ ამჩნევთ?

ამალა. დიდება მეფეს!..

მაია. მეფე ერეკლე, აი ამ ბიჭებს (თავის რაზმზე უჩვენა.) ეს მცირე ძღვენი თქვენთვის მოურთმევიათ... სამი ვერაგი! მეოთხემ ცოდვილი სული ღმერთს მიაბარა... ნაბდები ჩამოვაფარეთ, რომ ამილახვარს არ შეეტყო ამათი ბედი, თორემ ლაჩარია და გაიქცეოდა.

შეპყრობილებს ნაბდები ახადეს.

ერეკლე. ირანის ელჩი... კვლავ თავადები... (ქაიხოსროს მიათითა.) ეს ხომ ყმებსა ჰყიდდა.

მაია. ყმები რა არის, მთლად საქართველოს ურჯულოდ ჰყიდდა... გზაზე შევიპყარ, ელჩი მის პატრონთან მიჰყავდათ... ერეკლეს ლაშქარს ექვსი მეზარბაზნე ჰყავს, უკან მობრუნდით და საქართველო მთლად დაგრჩებათ სამეფო ტახტითო. ასე დააბარა ამ ვერაგებს ამილახვარმა, ამიტომ მოვკალი წუწკი გუბაზი, აწ თვით განსაჯეთ.

ერეკლე. ამილახვარო, რაღას იტყვი?

ამილახვარი (უტიფრად). მეფევ, ახლაც გატყუებს ეს მათე ბიჭი, ბიჭი კი არა — დედაკაცია.

მანუჩა (თავისთვის). ერთი სიმართლე ამილახვარმაც კი სთქვა.

ერეკლე (მხედრებს). გაიყვანეთ!

ბარათა. მეფევ...

ერეკლე. ჰეი, ბარათა, თუ რამე გეთქმის...

ბარათა. მოწყალეო მეფევ... ამილახვარს მოჰკითხეთ ჩემი ცოდვები, მან დააქცია ჩემი ოჯახი.

ერეკლე. ელჩი გაცალკევეთ. ამილახვარი იმ დილეგს ჩაკეტეთ, მათე ბიჭი რომ უსამართლოდ ღამეს ათევდა.

პატიმრები გაყავთ.

ჯემალი. მეფევ, ამილახვარს დროზე ვუთხარი, მათეს დილეგი არ აგცდება-მეთქი, არ დამიჯერა.

Scanned with CamScanner

ერეკლე. აჭარელო, შენი სახელი სულ დამავიწყდა...

ჯემალი. ჯემალა მქვია.

ერეკლე. სპასალარო, ჯემალი მეფის ამალაში ჩარიცხეთ. საზ-
ღრიანია, ალღო ჰქონია. (სხვებს.) სისხლიან ბრძოლას საქართველო გლე-
ხით იგებდა, უსისხლო ბრძოლაც გლეხის ერთგულებით მოგებულია!..
მათეს ბიჭებო, ეს ვაჟკაცობა ჩვენს ქვეყანას დიდად სჭიროდა. მწიფო-
ბისთვეს თქვენი მეფე რუსის ჯარს ელის, ერთიან ძალით შეიკვრება
ჩვენი ქვეყნის გაბზარული სუსტი კედელი.

ყველანი. დიდება მეფეს!..

ერეკლე. დიდება თქვენ, ჩემო შვილებო!.. (გასძახებს.) დაჰკარით
ბუკსა და ნაღარას, ააქუხეთ ეს ზარბაზნები, საზეიმო სულისკვეთებას
ფალკონეტების ხმებიც შეუწყვეთ, თავი დახარეთ მათე ბიჭის რაზმის
წინაშე...

მანუჩა. ჩვენო მეფევ, საქართველოს ლაშქართ სულისდგმავ,
ბიჭი კი არა, ქალს ვუმადლოთ უსისხლო ეს გამარჯვება.

ერეკლე. ქალსო? აბა, რას ამბობ, ჩემო მანუჩა?

მანუჩა. თქვენ რომ მათე ბიჭს ეძახით, ჩვენო მეფევ, დედაკაცია,
მას მაია ჰქვია. (მაიას ერეკლეს წინაშე ჩაიმუხლებს.)

ერეკლე (მაიას სახეში ჩააცქერდება). დიდება შენ, ღმერთო...
(პირჯვარს გადაისახავს, ნათელი მოეფინება.) ამისთვის უთქვამს სულმნათსა
შოთას, ლეკვი ლომისა სწორიაო.

მაია. ჩემო მეფევ, საქართველოში ყველა ასეა, ვისაც ჯავრი კლავს
ავკაცებისა და საქართველოსთვის ანთებულია.

ერეკლე (მაიას წამოაყენებს). მეფეს ნუ მეტყვი, მამა მიწოდე, შე-
ნი სამწყსოს სწორუპოვარო, შვილო მაია. (ქუდს მოიხდის.) ჰოი, ღმერ-
თო დიდებულო, ასეთი შვილების მოიმედე არ გატყდება არასოდეს
ჩვენი ქვეყანა!.. ჩემო ლაშქარო, მუხლი მოიყარეთ ქალის წინაშე,
ვის მკერდშიაც რკინა წკრიალებს. მუხლი მოიყარეთ საქართველოს დე-
დის წინაშე, თავდადებულ შვილებს რომ გვიზრდის, კვლავაც დაზრდის
და ჩვენს ქვეყანას არასოდეს მოაყივნებენ!.. (მაიას შუბლზე ჰკოცნის.)

მეომართა უკანა რიგებიდან თანდათანობით ძლიერდება ხმა ლაშქრულისა, მას
ზარბაზნების ხმები უერთდება.

1954 წ.
კოხტა გორა

Scanned with CamScanner